

საზოგადოებრივ-ლიბერალური ჟურნალი

ქართული
ზოგადოებრივი
ფასი 2 ლარი

პერიდი

1134

2020 №5



2020 / ოქტომბერი

5 (291)

ნათელა კალწინო

რატომ უნდა
ვიკითხოთ კლასიკა

თარგმანი	1	ვერიპიდე ჰერაკლესი ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ლევან ბერძენიშვილმა
	20	ქერილ ჩერჩილი შვიდი ებრაელი ბავშვი ინგლისურიდან თარგმნა გუგა მგელაძემ
პოეზია	23	ნუგზარ ზაზანაშვილი
	26	ბექა ახალაია
	32	ირინა ტაბალუა
	37	ქეთი გზირიშვილი
პროზა	39	ცოტნე ავსაჯანიშვილი მეთექვსმეტეულები
კათედრა	45	იტალო კალვინო რატომ უნდა ვიკითხოთ კლასიკა ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი ინა არჩუაშვილი

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

საჩუქრად მიიღეთ საბჭო

რატო ამადლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღალაფერძი, სვიმლ რატანი, ჯემსონ რეზიამპელი, ბიკელი სამხონაძე, გულუსუნდა სიხარულიძე, ბარკო სულაკაური, ირმა ტყეშელაძე, ქეთი ქანთარია, პაპაძე მარუჯი, ზაზა ძილიაძე.

კრილი - დასახლებული სინგინდუტა

ბუღალტრ-ხაზა

არღილი - გზის შუაში, რამეთუ დამდგარი

ქართულად უნდა ვანშაურობდით ლეიპციკში

პრილი - თანამედროვე ძარბული ლიტერატურის
გარილი

ပံ့ပိုးမှုများ

ელექტრონული ფოსტა: info@anlimag.ge
 ვებგვერდი: anlimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ყურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არჩილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ფურნალი გამოდის
საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



© 2006 Blackwell Publishing Ltd, *Journal of Internal Medicine* 260: 395–404

2024.03.28
1.560

ევრიპიდე

ჰერაკლესი

ძვ.წ. 416 წ.

ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ლევან ბერძენიშვილმა



ტრავედია "ჰერაკლესი" (ძვ. ბერძნ. **Ἡρακλῆς μαινόμενος**, "შეშლილი ჰერაკლესი", ასევე ცნობილი ლათინურად **Hercules Furens**) დაიდგა ქალაქის დიონისიებზე ძვ.წ. 416 წ. ესაა ევრიპიდეს წევნამდე მიღწეული მეორე ტრავედია ჰერაკლესის მითოსიდან. პირველი იყო "ჰერაკლესის შვილები" (ძვ. ბერძნ. **Ἡρακλῆϊδαι**, "ჰერაკლესის შვილები"), რომელიც დაიდგა ძვ.წ. 430 წ.

ჰერაკლესი ათენის სცენის იშვიათი სტუმარი იყო, თუმცა მისი ლეგენდარული ბიოგრაფიის ცალკეული ეპიზოდები საკმაოდ კარგად იყო დამუშავებული ჰომეროსის შემდგომ ეპოსსა და სავუნდო ლირიკაში. ამ ყანრებში უკვე ცნობილი ყოფილა ჰერაკლესის მიერ ადრეულ ახალგაზრდობაში სიგიჟის მოვლენისას მეგარასგან შობილი ბავშვების დახოცვის ამბავი, რაზეც ჩვენამდე მხოლოდ ირიბი ცნობებია შემორჩენილი. ამ მოვლენის ჰერაკლესის ცხოვრების ბოლოსკენ გადატანა, ისევე როგორც ეპიზოდი ლიკოსის მონაწილეობით და, რაც მთავარია, თესვის ჩარევა, მთლიანად ევრიპიდეს მიერ შემოტანილი სიახლეებს მიეკუთვნება.

მოქმედი პირები

ჰერაკლესი(გმირი, ზეცის ძე)

ამფიტრიონი (ალკმენეს მეუღლე, ჰერაკლესის მოკვდავი მამა)

მეგარა (ჰერაკლესის მეუღლე)

ლიკოსი ("მგელი" ბერძნულად, თებეს ტახტის უსურპატორი)

თესეუსი (ათენის ნეფე)

ირისი (პერას მოახლე)

ლისა (სიგიჟის ქალღმერთი)

გუნდი (თებეს მოხუცებისგან შემდგარი)

ორი შეიარაღებული მცველი (უსიტყვო)

მაცნე

ჰერაკლესის სამი შვილი (უსიტყვო)



პროლოგოსი

თქვენი პერაკლესის სახალისი წინ. ახლოს დგას ზევისი საკურთხეველი, რომლის საფუძვრებზეც ახლა სხედან ამფიტრიონი, მეგარა და მისი სამი შვილი პერაკლესიან.

ისინი საკურთხეველთან ითხოვენ თავშესაფარს.

ამფიტრიონი. რომელი მოკვდავი არ იცნობს ამფიტრიონს, რომელსაც ზევისი საზიარო ცოლი ჰყავდა? არგოსელ ამფიტრიონს, რომელიც პერაკლესის² ძე ალკოლას³ შვილი, პერაკლესის მამას? იგი ხომ აქ, თებუნი ცხოვრობდა; აქ დათესილი⁴ დრაკონის კბილებიდან აღმოცენდა მოსავალი - მიწის შობილი გოლიათები, რომელთა მოდგმიდან არცსა გადარჩნია მძირე რიცხვი; მათი შიშითა შეიღებენ სახლებს ახლა კადმოსის ქალაქს. ამისა შემდეგ იშვა კრეონი, მენეკვასის ძე, ამ მიწის მეფე. კრეონი კი ამ მეგარას მამა გახდა, [10] რომელსაც ცოდვასა და მოვლით კადმოსური მოდგმა საღმრთოს ნუსიკის თანხლებით მოჰყვა ქორწილში, როდესაც სახელგანთქმულმა პერაკლესმა იგი ჩემს სახალხეში მოიყვანა. დატოვა თებე, სადაც მე ეცხოვრობდი, ნიატოვ მეგარა და მოყვრები ჩემმა შვილმა და მონადირეებმა, ბინა დაიწყო არგოლისში, გალავნიან ქალაქში, რომელიც კიკლოფსებმა ააგეს⁵, რომლის-განაც მე გამოვიქეცი ელექტრიონის⁶ მკვლელობის გამო. ჩემი ვასასიორის მესამეშუბლებად და თავის მიწაზე დასახალხებლად დამპირდა ევრიათესის⁷ დიდი საზღაურის გადახდას. [20] რომ გაათავისუფლებდა მიწას ველური ურჩხულებისაგან, ან პერამ იძულებდა და დაშორებდა ან მისი ბედით იყო ეს. სხვა გმირებშიც ჩაიღინა, უკანასკნელად კი ტენარონის⁸ პირის გავლით ჩავიდა პადესში, სამსხუდლიანი ძაღლის შრის სინათლეზე არსაყვანად, წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. ამისგანაც ძველი გადმოცემა კადმოსელებში, რომ ვინმე ლიკოსი ოდეს-ღაც იყო დირკეს მეუღლე და ამ შვიდკოშკიანი ქა-

ლაქის მბრძანებელი, სანამ თეთრცხრებიანი ამფიონი და მეთონი, ზევისი შვილები, ქმარ-გაყვრებულდნენ ამ მიწაზე. მისმა ვაჟმა, რომელსაც მამასის სახელი ჰქონდა, რომელიც კადმოსელი არ იყო, არამედ ეგებადან ჩამოსული უცხოელი იყო, მოკლა კრეონი და ამის შემდეგ ხელში აიღო ძალაუფლება ისარგებლა სამოქალაქო უთანხმოებით და თავს დაეტოვა ქალაქს⁹. ჩვენთვის ეს კავშირი, რომელიც კრეონთან გვექნება, როგორც ჩანს, უდევსი უბედურების საფუძველი გახდა. რადგან ახლა ჩემი შვილი არის დედამისის შიშით, ეს ახალი ბატონი ამ ევფონისა, ლიკოსი, აპირებს დახოცოს პერაკლესის შვილები, [40] რომ მოიკლას სისხლის წყურფელი სხვა მკვლელობით, სურს მისი მეუღლის მოკლა და ჩემიც - თუ საჭიროა ჩემი ჩათვლა ადამიანებში, როცა უსარგებლო ბერეკატი ვარ - ემინია, რომ ოდესმე, ეს ბავშვები რომ დაკავდებიან, პასუხს მოსთხოვენ მათი დედის მხრიდან წინაპრის სისხლისთვის ამრიგად, მე აქ დამტოვა ჩემმა შვილმა, სანამ თვითონ მიწის შვი წყვდიადში არის ჩასული, რომ მოეუარო და დაეცვა მისი შვილები მის სახლში; მე მათ დედასთან ვზივარ, რომ პერაკლესის მოდგმა არ გადმენდეს, მსხენელი ზევისი საკურთხეველთან, რომელიც ჩემმა კეთილშობილმა შვილმა ააგო [50] მინიგზე¹⁰ მისი შუბის ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად. და აქ გვიკავია ეს საფუძვრები, გვაკლია ყველაფერი: საქმელი, სახმელი, ტანსაცმელი, პირდაპირ მიწაზე ვართ დაკრებილები, რადგან სახლიდან ვართ გამოძევებული და აქ ცხსეფვარა სასონარკვეთილები. მეგობრათაგან აშკარად ვხედავ, რომ ზოგიერთები არ არიან მეგობრები; ვინც არიან, იმით დაბრუნდა არ შეუძლიათ. აი, რას ნიშნავს ადამიანისთვის განსაცდელი: ნეტავ არსიოდეს ნათონ იმით, ვისაც ჩემთვის კარგი უნდა, თუმიცა მეგობრობის გამოცდა მხოლოდ განსაცდელს შეუძლია.

1 სტრ. 1. არგოსი - არგოლისის ქალაქი პელოპონესოსის ნახევარკუნძულზე.

2 სტრ. 3. პერსეკი - ზევისა და დანაის ძე, მიკენის ლეგენდარული დამაარსებელი.

3 სტრ. 4. ელკოსი - პერსეკისა და ანდრომედეას ძე.

4 სტრ. 5. ...დათესილი... - საუბარია სპარტებზე („დათესილებზე“). გმირებზე, რომლებიც მიწიდან ამოიზარდნენ კადმოსის მიერ დათესილი დრაკონის კბილებიდან.

5 სტრ. 15. კიკლოფსებმა ააგეს - იკლოფსებმა მიკენი, რომლის გალავნიც გვიანტური ზომის ქვებითა ნაშენები, ესაა ე.წ. „კიკლოფსური ნიშა“ (იხ. სტრ. 944). V საუკუნეში, მას შემდეგ, რაც მიკენი მესობელმა არგოსმა დაიქცია, მიკენის ლეგენდარული ნაგებობა მასზე გადაიტანეს.


6 სტრ. 17. ელექტრიონი - ტირინსელი გმირი, ამფიტრიონის შიშით და აღკვეცეს მამა, რომელიც შემთხვევით შემოაკვდა ამფიტრიონს და ამის გამო მას მოუხდა დევნილობაში ჩასვლა. ამის შემდეგ არგოსში ხელისუფლებას ელექტრიონის მეორე ძმისშვილი, ევრიათესი დაუფლავ; პერას ციხეებში წყალობით მათ პერაკლესს უნდა მომსახურებოდა. ევრიათესი, ტრადიციის საწინააღმდეგოდ, საქმეს ისე წარმოადგენს (სტრ. 17-21), რომ პერაკლესი ნებაყოფლობით შევიდა ევრიათესის სამსახურში, რომ სამშობლო და ტატიბი დებრუნებინა.

7 სტრ. 19. ევრიათესი - არგოსის მეფე, პერსეკისა შვილიშვილი. პერას ციხეებში წყალობით პერაკლესის მბრძანებელი გახდა. მისი ბრძანებით ჩაიღინა პერაკლესმა თავისი გმირებები.

8 სტრ. 23. ტენარონი - მღვიმიანი კლდეანი კონკრეტი პელოპონესოსის სამხრეთით, სადაც, პერსეკის წარმოადგენით, მინიტე-შეათის სამეფოში ერთ-ერთი შესასვლელი იყო.

9 სტრ. 19. მითოლოგიურმა გენეალოგიამ იცოდ თებეს მეფე ლიკოსი, რომლის მეუღლე დირკე ყველანაირად აწამებდა თავის მისიწულ ანტიპოპს, ლესაბერტი ტყულების, ანთონიას და ძეთაის დედას. ეს ბიჭები გაიზარდნენ და თავიანთი დედის წვალუბლისთვის დირკეს სამაგიერო მიუზღეს, ლიკოსი კი ტატიბიდან ჩამოაგდეს. მეორე ლიკოსი, შეიძლება, ევრიათესს გამოეგონება იყო.

10 სტრ. 50 მინიგები - თებეს მეზობელი ორქომენოსის მკვიდრნი, რომლებიც თეფალად თებზე მბრძანებლობდნენ. პერაკლესი მათ თავს დაეცა და ამგვარად გაათავისუფლა თებე მათი მონობიდან (ჰერ. სტრ. 220).



მეგარა. [60] მოხუცო, რომელმაც ოდესღაც ტაფოსელების ქალაქი¹¹ აიღო, უხელმძღვანელო კადმოსელების ლაშქარს და დიდება მოუტანე მას, ღმერთების ადამიანებისადმი განწყობა არასოდესა მყარი! რადგან მე, მამაჩემთან დაკავშირებით, ბედს არ ვუწიოდი, სიმდიდრის გამო ხომ ოდესღაც დიდკაცად ითვლებოდა, ჰქონდა სამეფო ძალაუფლება. გრძელი შუბები აღიმართნენ მის წინააღმდეგ; კეთილდღეობას მონყურებულე-ბი ასე ექცევით ნარმატებულებს. შვილებიც ჰყავდა და შენს შვილს გამაყოლა, დამაქორწინა სახელოვანი ქორწინებით ჰერაკლესთან. და ახლა ეს ყველაფერი მოკვდა და გაქრა, [70] მე და შენაც სიკვდილი გველის, მოხუცო, და ჰერაკლესის ამ შიშვლებიც, რომლებიც ფრთებქვეშ მყავს ჩიტის ბარტყებზე შეყვული. მეკითხება ხან ერთი, ხან მეორე: "დედა, სად არის მამაჩემი, რომელ მანზე? რას აკეთებს? როდის დაბრუნდება?" ბავშვური გულბრწყინლობით ეძებენ მშობელს. მე გადამაქვს მათი ყურადღება და ამბებს ვიგონებ. სულ მგონია, რომ ისაა, როდესაც კარი გაიჭრია-ლებს; ესენიც წამოიშლებიან, რომ მამას მუხლებზე მოხვიონ ხელი. [80] ახლა კი რა იმედი და გადარჩენის რა გზა გეჩვენება, მოხუცო? რადგან შენც ვარ მონდობილი. ჩემი ვერ გადაგვევით ქვეყნის სახლებზე საიდუმლოდ - ყველა გასახლეს ჩვენზე ძლიერი მცველები დარაჯობენ. და არც იმის იმედი გავაგონია, რომ მეგობრები გადაგვარჩენდნენ. რას ფიქრობ? გამოგონცხადე-მხად უნდა შევხედეთ გარდაუვალ სიკვდილს.

ამფიტრიონი. ჩემო შვილო, არ არის იოლი ასეთი საქმეზე გააზრების გარეშე მნიშვნელოვანი რჩევის მოცემა, მაგრამ შეგვიძლია გავწვდეთ დრო, რაკი უძლური ვართ.

მეგარა. [90] ტანჯვა გაკლია, თუ სიცოცხლე გოყვარს ასე?

ამფიტრიონი. ესეც მახარებს და იმედიც მიყვარს.

მეგარა. მეც; მაგრამ შეუძლებლის არ უნდა გვეროდეს, მოხუცო.

ამფიტრიონი. ამ დავიანებამი უბედურების ერთი ნაშალი არსებობს.

მეგარა. მაგრამ მის მოსელამდე მწვავე ტკივილი მკბენს.

ამფიტრიონი. ჩემო შვილო, შეიძლება ბედნიერი გამოსავალი მოიძებნოს ახლანდელი გასაჭირიდან ჩემთვის და შენთვის; ჩემი ვაჟი, შენი მუფლე, შეიძლება ჩამოვიდეს. მაშ, დამიშვიდი, გაუმშრალე ცრემლები შენს შვილებს და დააწყნარე ისინი ნაზი სიტყვებით. [100] გამოგონილი ამბებით მოატყუე, საბრალო ცბიერებით. სუსტდება ხოლმე ადამიანის

უბედურება და ქარის დაბერვასაც ყოველთვის გააჩნია ძალა; და ბედნიერებიც დასასრულამდე ბედნიერები არ არიან; რადგან ყველაფერი იცვლება, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადადის. მამაცი კაცი ყოველთვის იმედინადაა, სასოწარკვეთა ლაშრობის ნიშანია.

პაროდოსი

შემოდის მოხუც თებელთა გუნდი.

გუნდი

სტროფი

მაღალჭრიანი სასახლისკენ, მოხუცის საწოლისკენ, ჯოსზე დაყრდნობილი ნოედი, [110] სამგლოვიარო სინდერის თანხლებით, როგორც რომელიღაც ნაცრისფერი ფრინველი, დავაჩნე მხოლოდ იმა და ღამეული სიზმრის ჩვენებების უცნაური გამოვლენა, სიბერისგან მოცაფრებ, თუმცა სიკეთის კეთების მსურველი. საღამო, დაობლებული ბავშვებო, საღამო მოხუცო და შენც, უბედურო დედაც, რომელიც გლოვობს თავის მეუღლეს ჰადესის სახლში.

ანტიტროფი

გული არ წაგვივიდეს შენს გზაზე, ან არ დაიქანცო, როგორც კვიცი იქნეცება უღლის ქვეშ, როდესაც ადის ქვიან ბორცვზე და მიათრევს ბორბლიანი ეტლის წონას. ჩასტიდ ან საძოვს მოუკიდე ხელი, ვისაც ფეხი ერევა და ბარბაცებს. მოხუცი მოზუცა გაჰყვება, უნინ, სიყმანელონს წლებში ახალგაზრდა ახალგაზრდას ედგა მხარში შუბით შეიარაღებული და ომის განსაცდელში სამშობლოს დიდებას ამრავლებდა.

ემოდოსი

[130] ნაბე, ნამამისივით როგორ პირქუშად უელვარებით ბავშვებს თეაქუსი საბრალო ბავშვები, მამამისის უბედურება შეიძლება დაინიშნოს მათში! ჩემო საბერძნეთო, რა თანამებრძოლებს დათმავ, ამათ თუ დაკარგავ, საკუთარ თავს გაძარცვავ!

კორიფაიოსი. მაგრამ ხედავ, ამ ქვეყნის მბრძანებელი ლიკოსი მოდის სასახლისკენ.

პირველი ეპისოდისი

შემოდინ ლიკოსი და მისი მახაზურები.

ლიკოსი. [140] ჰერაკლესის მამასა და მეუღლეს, თუ შემიძლია, კითხვას დავუყვამ; რა თქმა უნდა, როგორც თქვენს ბატონს, უფლება მაქვს, გკითხოთ, რაც მინდა. რამდენ ხანს აპირებთ, გაიზანგრძლოთ სიცოცხლე? რა იმედი და რა ხსნა გაქვთ, როგორ ფიქრობთ, სიკვდილს თავი დააღწიოთ? ამათი მამა ჰადესში წევს და გჯერათ, რომ დაბრუნდება? (ამფიტრიონს) რა უღირსი იყო ეს ნუხილი შენს სიკვდილზე! მთელ საბერძნეთში ამ ცარიელი ტრაბა-

¹¹ ატრ. 63 ტაფოსელების ქალაქი - როდესაც ამფიტრიონი ახალგაზრდა იყო, მისი ბიძისა და სიმამრის, ელექტრიონის (იხ. სტრ. 17) სამეფოს თავს დავიც კუნძულ ტაფოსის (დღევანდელი მცხეთის, მდებარეობს იონიის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, აკრანასიის ნაპირებთან) მეფის, პეტრელაოსის ლაშქარი, ომში დაიხილა ელექტრიონის ყველა ვაჟი, მაგრამ ამფიტრიონი სათავეში ჩაუდგა არგოაელების ლაშქარს, შეებრძოლა ტაფოაელებს და გაიმარჯვა მათზე (იხ. ასევე სტრ. 1080).

ხის გავრცელება, რომ ზევსი შენი სარეცლის მოზიარე და შენი ბავშვების მოზიარე. (შეგარას) [150] და შენ თავს აცხადებ საუკეთესო მოკვდავის მეუღლედ. რა ასეთი დიდი გმირობა ჩაიდინა შენმა მეუღლემ, ქობის ჰიდრა რომ მოკლა ან ნემის ურჩხული? რომელიც ბაღით დაჭირდა და ზემანა, ხელით დავახრჩევო. ამით იბრძოტ? ამის გამო ჰერაკლისი შეიღები არ უნდა მოკვდნენ? ამ კაცმა სახელი მოიხვეჭა, თუმცა კი ვაყვაცია მხოლოდ მხეცებთან ბრძოლაში, დანარჩენში მამაცი არაა, მას არასოდეს სჭერია მარცხენა ხელში ფარი, [160] შუბლის წინააღმდეგ არ წასულა, მხოლოდ მშვილდი ჰქონდა, ყველაზე ლაჩრული იარაღი და სულ მზად იყო გასაქცევად. კაცის ვაჟკაცობას მშვილდი ვერ განიცდის. არა, კაცს უკავია თავისი ადგილი საბრძოლო რიგში და მტკიცედ უყურებს სწრაფ ჭრილობას, რომელიც შეიძლება შუბმა მიაყენოს. მოხუცო, ურცხვობა კი არა, სიფრთხილე მამობრავებს; რადგან ვიცი, რომ კრეონი მოკვალი, ამ ქალის მამა და ტახტზე დაეუფლეს. ასე რომ, არ მინდა, ეს ბავშვები გახზარდონ და შური იძიონ იმისთვის, რაც მე გავაკეთე.

ამფიტრიონი. [170] დაე, ზევსმა დაიცვას ზევსის წილი თავის მფილში. რაც შეეხება მე, პერაკლეს, მე ვაპირებ სიტყვებით გამოვავლინო ამ კაცის უმეტრება შენთან დაკავშირებით; რადგან დასაშვები არ არის შენზე ძვირის მოხმენა. უპირველესად ის, რაც არ უნდა თქმულიყო — როგორ შეიძლება ლაპარაკი შენს ლაჩრობაზე, პერაკლეს?! — ღმერთების დამონებით მე უნდა მოვავლინო ეს პრაღლება. ზევსის ელვას მივმართავ და ოთხცხენიან ეტლს, რომელსაც მართავდა პერაკლესი, როდესაც მინიდან აღმოცენებული ვიგასები¹² ისრებით დახოცა და [180] ბრწყინვალე გამარჯვება ღმერთებთან ერთად იხიემა. ოთხფეხა კენტავრების ველურ მოდგმასა და ფოლოესთან მიდი და ჰკითხე, მეფეთაგან უბრძოლველი ვიგასები¹³ ისრებით კაცთაგან უმამაცესად, თუ არა ჩემი ვაჟი, შენი აზრით, სხვა ვინაა? დიოფისს ჰკითხე აბანტიისის¹⁴ კუნძულზე, შენ რომ აღვზარდე. ქებას არ აღგივლენენ, რადგან ერთი გმირობაც არ ჩაიგდენია, რომელსაც შენი სამშობლო დამომწმენდოდა. და ამ ბრძნულ გამოკვინებას, მშვილდისნის იარაღს ჰკითხე, ახლა მოდი, მომიხმენ და სიბრძნეს გასწავლი. [190] წინა ხაზზე მებრძოლი, მძიმედ შეიარაღებული კაცი თავისი იარაღისა და თანამებრძოლების მონაა და თუ ისინი ვერ ივარგებენ, თავადვე კვდება მეზობლების ლაჩრობის გამო, თუ შუბი გაუტყდა, თავს ვერ გადაიჩინებს სიკვდილისგან, რაკი მხოლოდ ერთი საშუალება აქვს დაცვის. ვისაც ხელთა აქვს აუცდენელი მშვილდი, ერთი,

მაგრამ საუკეთესო იარაღი აქვს, უთვალავი იარაღისგან და სხვაჯე რჩემა სიცოცხლის დასაცავად, შორის დგას მტრისგან და დაცულია, ისინი კი ვერც ხედავენ და იჭრებიან უხილავი ისრებით, [200] საკუთარ სხეულს კი არ გამოუჩენს თავის მონინა აღმდგევნის, კარგადან დაცული¹⁵. ეს არის ბრძოლის ყველაზე გონივრული ხერხი: მტერი დაახლოვდეს და თავი გადაიჩინოს და არ იყო შემთხვევაზე დამოკიდებული. აი, ამ სიტყვებს ვუპირისპირებ შენს მოსაზრებებს ამ საკითხზე. ახლა, ამ ბავშვების დახოცვა რატომ გინდა? რა დაგიშავებს? მგონი ესაა შენი სიბრძნე, რომ გემინია მამაცი კაცის მთავრობა. და მაინც მძიმეა ჩვენთვის, [210] რომ შენი ლაჩრობის გამო უნდა დავიღუპოთ, პირიქით, ჩვენი ხელით შენ უნდა დაიღუპო, თუკი ზევსი საბრძოლვანად განწყობა ჩვენ მიმართ. თუკი გასურს ამ ქვეყნის კვეთახი შეინარჩუნო, ნება დაგვთხო დევტროთ ეს მიწა და დევნილობაში წავიდეთ. თავი აარიდე ძალადობას, თორემ თავად მოგადგება იგი, როდესაც ღმერთი შენკენ დაუბრუნებს ბედისწერის სიღს. აჰ! კადმოსის მიწა — შენც უნდა მოვამართო, გამკიცხავი სიტყვები უნდა გითხრა — ასე იცავ შენ პერაკლესსა და მის შვილებს? [220] მარტო შეებრძოლა ყველა მინიელს და თეებს საშუალება მისცა, თავისუფალი თვალით გამოეხედა. ვერ ვაქებ საბერძნეთს, ვერც დუმილს დავიცავ, რადგან ასე უმადურია ჩემი შვილის მიმართ; მას მართება, ცეცხლითა და მახვილით მოსულიყო და დახმარებაში ამ ბარტყებს, იმის სანაცვად, რომ მათმა მამამ ზღვა და ხმელეთი თავისი გმირობით განმინდა. ეს დახმარება თქვენ, ჩემო შვილებო, არც თეებს ქალაქმა და არც საბერძნეთმა არ აღმოგიჩინათ; მე, უძლურ მეგობარს შემომყურებთ, მე კი არაფერი ვარ, მხოლოდ ცარიელი ენა. [230] ძალად დამტოვა, რომელიც ადრე მქონდა, რა ძალად მქონდა მუხლებში, ასაკთან ერთად დამაკლდა და ჩემი სიძლიერე ჩაქრა. ახალგაზრდა რომ ვყოფილიყავი და სხეულით ძლიერი, შუბს ავიღებდი და ამ კაცის ოქროს კულულებს სისხლით შევლევავდი, და ეს ლაჩარი ატლასის სვეტიანის იგი გაემცეოდა ჩემს შუბს!

კორიდოასი. მოკვდავთაგან კეთილები ხომ პოულობენ კარგ რამეს სათქმელს, თუნდაც გვიან იყოს ლაპარაკი?

ლიკონი. რაც გინდა, ილაპარაკე, კომკებად აღმართ სიტყვები, მე კი ვიმოქმედებ შენი სიტყვების საპირისპიროდ. [240] (ეძახის მსახურებს) წადით თქვენ პელიონზე, თქვენ კი პარნასოსის ხეობებში¹⁵, უბრძანეთ შეშის მჭარლეებს შუშის ხის მორები მომიტყნან და როცა ძალაქმე ჩამობრუნდნენ, ყოველი

12 სტრ. 177-180. ვიგასები ... დახოცა - მითოლოგიური ტრადიცია პერაკლესს სხვა გმირობებთან ერთად მიაწერდა ღმერთებისა და ვიგასების (ვიგანტიების) ბრძოლაში მონაწილეობასაც.

13 სტრ. 185. აბანტიისი - კუნძული ეგეზა.

14 სტრ. 188-205. აქ და ოდნავ ზემოთაც (სტრ. 159-164) ეფრონიდე შევიდა ცნობილ კამათში მძიმედ შეიარაღებულ მებრძოლებსა (პოლიტების) და მშვილდით მსუბუქად შეიარაღებულ მსროლელთა მომხრეების შორის. მელოპონესოსის ომის დროს ამ კამათს აქტეულური ხასიათი ჰქონდა.

15 სტრ. 240. ...პარნასოსის ხეობებში... - ეს ბრძანება უნდა მიანიშნებდეს ტირანის უგუნურებაზე: თებედან პარნასოსის



მხრიდან შემოუწყო საკურთხეველს, ცეცხლი შე-
უნთონ და დანეან ესენი ყველანი ცოცხლად, რომ
გაიგონ: მეკლარი მეტად აღარ მართავს ამ ქვეყანას
და ამჟამად მე ვარ მეფე. (მრისხანედ გუნდს) თქვენ
კი, ბერიკაცებო, რაკი ჩემს აზრებს ეწინააღმდეგე-
ბით, არა მხოლოდ ჰერაკლესის შვილებზე უნდა იკ-
ვნესოთ, არამედ საკუთარ [250] უბედურებაზეც და
აღარასოდეს დაგავისყდებით, რომ თქვენ ხართ მო-
ნები და მე ვარ თქვენი ბატონი.

გუნდი. ო, მინის ნაყოფნო, რომლებიც ოდეს-
ღაც არესმა დაგეთესათ¹⁶, როდესაც მძინვარედ დრა-
კონს ყბიდან ამოაგლიჯა კბილები, რატომ არ აღ-
მართეთ ჯოხები, რომელსაც სელით ეყრდნობით
და არ დაუღისხლიანეთ უღირსი თავი ამ კაცს, რო-
მელიც გადმოსელიც არ არის, უცხოელია და თავზე
დააჯდა სამარცხვინოდ თქვენი ახალგაზრდებს;
მაგრამ ჩემი უფროსი ეერასოდეს ვერ გახდები და
ერ გაიხარებ. ჩემი ნაშრომის მოსავალს შენ ვერ
[260] მოინეც. დაბრუნდი იქ, საიდანაც მოხვედი შე-
ნ ქედმაღლობით. რადგან, სანამ ცოცხალი ვარ,
შენ ვერ მოკლავ ჰერაკლესის ამ შვილებს. ისე ღრმად
არ არის დაკრძალული ჰერაკლესი, რომ თავისი შვი-
ლები მიატოვოს. შენ ეს მინა გაანადგურე, რომელ-
ზეც მეფობ, მან კი, რომელმაც ის გადაარჩინა და
ჯილდო ვერ მიიღო. და მე მეტისმეტს ხომ არ ვიღებ
ჩემს თავზე, როდესაც ვინც მიყვარს, მათი სიკვდი-
ლის შემდეგაც ეუერთებულენ, რაკი მეგობარი სჭირ-
დებათ? ო, ჩემო მარჯვენა, როგორ გინდა, შუბი
აიღო ჩელში, მაგრამ უძლურება კლავს ამ სურვილს.
[270] რადგან მაშინ შეგანყვებინებდი ჩემს მონად
მოსხენიებას და ამ თებეს სახელოვნად გაუძღვე-
ბოდი. ახლა კი შენ ხარო მასში; აღარ არის მეტი
სიბრძნე ამ ქალაქში, ავადაა განხეთქილებათა და
ბოროტა რჩევებით, თორემ შენ მეფედ ვერასოდეს
მივიღებდა.

მეგარა. მადლობა, ბერიკაცებო; მეგობრების
გამო სამართლიანი ვულისწყომა მეგობრებს მარ-
თებთ; მაგრამ ჩვენ გამო რომ ტირიანს განურისხდე-
ბით, უბედურება არ მოინიშნო. მოუსმინე ჩემს აზრს,
ამფიტრიონ, და ნახე, გონიერულს თუ ვამბობ. [280]
მე მიყვარს ჩემი შვილები, ან როგორ არ უნდა მიყ-
ვარდეს, თუკი გაგაჩინე და ნვალებით გამოვზარ-
დე? სიკვდილი სამინელ რაჟედ მიმანჩია, მაგრამ
გარდაუვალობის წინააღმდეგ ვინც მიდის, ის უგუ-
ნური მგონია. რაკი უნდა მოვეკდეთ ჩვენ, დაე, მოე-
კდეთ და ცოცხლად არ დავინვათ, მტრები არ გა-
ვაცინოთ, რაც სიკვდილზე უარესი უბედურება იქ-
ნებოდა. ამ სასახლის მიმართ კეთილშობილება გვე-
ვალება. შენ ყოველთვის გვრნდა შუბოსნის გან-
თქმული სახელი, რაც არ მოგცემს საშუალებას ლა-
ჩარივით მოკვდე. [290] უტყუარია, რომ ჩემი სახე-
ლოვანი მეუღლე არ ისურვებდა ამ ბავშვების გა-
დარჩენას, თუკი მათ ლაშრობით სახელი გაუტყდებ-
ოდათ; რადგან კეთილშობილი ხალხი იტანჯება,
შვილები თუ შეარცხვენენ, მე კი უნდა მოვიცემ;
როგორც ჩემი ქმარი მოიქცეოდა. რაც შეეხება შენს
იმედს, მოდი, ენახოთ: მართლა გგონია, რომ შენი
შვილი მინისქვეშეთიდან ამოვა? რომელი მიცვალე-
ბული ამოსულა პატივიდან ისევ? ან იქნებ გგონია,
რომ სიტყვებით ამ კაცს ბრახს ჩაუტყობოთ? ო,
არა! სულელ მტერს კაცი უნდა გაეცეს, [300] ბრძენ
და განათლებულ ხალხს კი უნდა დაუთმოს; რადგან
უფრო იოლია მათთან მეგობრული ზავი, მათ წესი-
ერებას რომ მიმართავ. მე უკვე ვიფიქრე, გამო-
მეთხოვა ბავშვებისთვის დევნილობაში წასვლის ნე-
ბართვა; მაგრამ რა აზრი აქვს მათი სიცოცხლის გა-
დარჩენას, თუ გაჭირვებასა და სიღატაკეში უნდა
ამოხდეთ სული? ხომ ნათქვამია, ღმერთილ მე-
გობრებს მასპინძელი მხოლოდ ერთ დღეს უღიმე-
სო. გაბედე და ჩვენთან ერთად მოკედი, მაინც ეს
გელოდება. შენს კეთილშობილებას მივმართავთ,

¹⁶ სტრ. 252. არესმა დაგეთესათ - იხ. შენ. სტრ. 5. რა თქმა უნდა, დრაკონის კბილები არა თავად არესმა, არამედ
კადმოსმა დათესა, რომელმაც არესია გამოზრდილი დრაკონი მოკლა.

მოხუცო. თუკი ვინმე იბრძვის, რომ ღმერთების გამოგზავნილ ზედს დაუბრისპირდეს, [310] მამაცია, მაგრამ ეს უგუნური სიამაცვა, რადგან რაც უნდა მოხდეს, იმას ვერაფერ ვერ აირიდებს.

კორიფაიოსი. ვინმეს რომ შეურაცხყოფა მოეყენებინა შენთვის, როდესაც მელაშვი ძალა მქონდა, იოლად აღეკვეთდი ამას; ახლა კი არაფერს ნარმოვადგენ. ამიერიდან შენ უნდა ნახო, როგორ აიცილო უბედურება.

ამფიტრიონი. ღაწრობისა და სიციცხლის სიყვარულის გამო კი არ გავურბიერ სიკვდილს, არამედ იმიტომ, რომ შვილს მინდა ბავშვები გადავურჩინო, თუმცა, უეჭველია, რომ მეუღლეების იმედი მაქვს. შეხედე! ჩემი კისერი შუადაა ხმლისთვის, [320] გამკვეთ, მომალე, კლდიდან გადმომაგდე. ხოლოდ ერთი მონყალუბა გვიბოძე ჩვენ ორს, გეცდუნებით. მოგვკალი მე და ეს უბედური ბავშვებზე ადრე, რომ არ ვნახოთ მათი სიკვდილი, საზარელ სანახაობა, მომაკვდავები რომ დაუძახებენ დედასა და მამის მამას. სხვას რაც შეეხება, გააკეთე; რაც გასურს, რადგან ჩვენ არანაირი დაცვა სიკვდილის წინააღმდეგ არ გავაგწნია.

მეგარა. მე კი გეცდურები, რომ ამ წყალობას კიდეც ერთი წყალობა დაუმატო, ამით შენ ერთი ჩვენ ორს ორმაგ სიკეთეს გვიყოფ; მომღერი ბავშვებს სიკვდილის სამოსი ჩავაცვა; [330] გავიღე სასახლის კარიბჭე, რადგან ახლა ჩაქეტლია, რომ მამის სახლიდან ეს მაინც აიღოს.

ლიკოსი. ასე იყოს, მსახურებს ფუბრძანე გააღონ კარიბჭე. შედიო და თავად ჩაიკვიო, არ მენანება სამოსი. როგორც კი ტანზე ჩაიცვამთ, მოვბრუნდები, რომ ქვედა სახლში გაგაგზავნოთ.

ლიკოსი და მისი ამაღა გადის.

მეგარა. შეილება, გამოჰყვეთ უბედური დედათქვენის კვალს მაშისულ სახლში, რომლის ქონებას ახლა სხვები ფლობენ, თუმცა მისი სახელი ჯერაც ჩვენია.

მეგარა და მისი შეილება სასახლეში შედის.

ამფიტრიონი. ო ზეეს, თურმე ამოად ჩამეზიარე საქონლინო სარეცელში! [340] ამოად გთელიდი ჩემი შვილის მამად ჩემთან ერთად. შენ ნალები მეგობარი ხარ, ვიდრე ჩანდი. ღირსებით მე, მოკვდავმა, ამოდენა ღმერთი დაგამარცხე, რადგან შერაცხვის ბავშვებს არ ეუღლაატე. შენ კი ჩემს სარეცელთან საიდუმლოდ მოხვლა მოახერხე, სხვისი ცოლის უნებართვოდ დაუფლება იცი, მაგრამ ძვირფასი მეგობრების გადაჩრჩენა არ იცი! შენ ან უფიცი ღმერთი ხარ, ან უსამართლო.

სასახლეში შედის.

გუნდი

სტროფი პირველი

სხივოსანი¹⁷ მღერის სამგლოვიარო სიმღერას

მხიარული სიმღერების შემდეგ, [350] ჩანდა მამე-ნიერი ლინოსი მოკვდა და ოქროს ღვთაებების უკრავს კითარაზე. მე კი მას მინდა ვუღერო და გვირგვინით შევამკო, ვინც ჩავიდა წყვდიადში ღმირის ქვეშ, ზეესის შვილად მოვიხსენიებ თუ ამფიტრიონისად. კეთილშობილ საქმეთა სათნოება ნიუვალეხლის დიდებაა. ჯერ ზეესის ქალას [360] მოატილა ლოში, მისი ტყავი მხრებზე მოიდგო, ხოლო ოქროს თავზე დაიდგა შიეცის სამხინელი ხახა.

ანტიტროფი პირველი

შემდეგ მთებში მორტილად კენჭაერების მოღება მომაკვდინებელი მშვილდით დაჭრა და ფრთოსანი იარაღით ამოხოცა. მას კარგად იცნობს პენეოზი ღამაზმორევიანი და მისი უნაყოფოდ ქცეული ვარცილი ყანები [370] და პელონის ხეობები ახლომდებარე ჰომილად გამოქვაბულები, საიდანაც კენჭაერები გაჩნდნენ თესალიის მიწის დასაპყრობად ფიჭვებით შეიარაღებულნი. ოქროსქიანი შველკომალებიანი ზურგით, მოსახლეობა მძარცველი მოკლა, მონადირე ქალღმერთს, ოინოები პატივცემულს მიუძღვნა.

სტროფი მეორე

[380] ოთხცხენიანი ეტლზეავიდა და აღერიდა მოთოკა დომიდესის ცხენები, რომლებიც სისხლიან თავლაში სისხლიან საკვებს ხარხად ცოხნიდნენ ულაგამო ყებებით, ნთქადნენ საზოადარი სისხროლით ადამიანის ხორცს; შემდეგ გადაკეთა პებროსი სიმადუნის ვერცხლის წყაროები, რათა შესრულებინა მიკენის ტირანის ბრძანება. შემდეგ შელესის ყურთან, ანავროსის ნაკადიან ისრებით განგებრა უცხოელთა მკვლელი კიკნოსი, ამფანაოში მცხოვრები.

ანტიტროფი მეორე

მიწების მომღერალ ქალწულებთან მივიდა მამა დასავლურ ბაღში, რომ მოეწყვიტა ვაშლის ხის ოქროს ფოთლებიდან ოქროს ნაყოფი, იქ მოკლა ცეცხლისფერზურგაიან დრაკონი, რომელიც ზეესი შემოხვეული საზარელი რკოლებით; [400] შევიდა ზღვის სიღრმეში და სიმწვიდე მოუტანა ნიბოსან ხალხს. მას გაიწვინა ხელები, რომ დაეკავებინა ცარგვალი, შევიდა ატლასის სახლში და ღმერთების ვარსკვლავებით მოჭდილი სახლი ეთქაცურად დაიჭირა.

სტროფი მესამე

ამორტალების მხედარ ლაშქარს მიადგა [410] მეოტისის მრავალმდინარიან ტბასთან, გადაიარა შავი ზღვის ტალღები, თავისი დროშის ქვეშ მოუყარა მეგობრებს თავი მთელი საბერძნეთიდან, მეომარი ქალწულის ოქრომკეთი ნაქსოვი კაბა და სარტყელი, სასიკვდილო გმირობა! საბერძნეთმა მოიპოვა ბარბაროსი ასულის ეს სამრძოლო ნადევი და ახლა ინახება მიკენებში. მას დანება მრავალთავიანი, [420] მრავალთა მკვლელი ღერნეს ურჩხული ზიდრა. მისი შიშით გააფრდა თავისი ისრები, რომლითაც მოკლა ერთთვის სამტანიანი მწყესი.

17 სტრ. 349. სხივოსანი - ფილოსო; აპოლონის, როგორც სინათლის ღმერთის, მთავარი ეპითეტი.

18 სტრ. 350. პლეტრონი - წკირი, რომლითაც სიმებიან საკრავზე უკრავდნენ. თანამედროვე „მედატორი“



ანტიტროფი მესამე

ბევრი სხვა ბრძოლაჲ მიიყვანა ბედნიერ დასას-
რულამდე. ახლა გაცურა მრავალცრემლიან ჰაღვინ-
ში, უნდა ჩაიდინოს უკანასკნელი გამარჯვება, რათა
დაპარულობის თავისი სიცოცხლე და აღარ დაბრუნ-
დეს უკან. [430] ახლა შენი სახლი დარჩა მეგობრე-
ბის გარეშე და ქაროხის ნაღი ელვადება შენა შეი-
ლებსა, რომ გადაიყვანოს ისინი სიცოცხლის მძლავ-
რულ ბაღრუბრში, დაუბრუნებლად, ღმერთების კა-
ნონისა და ადამიანური სამართლის სანინააღმდე-
გად. შენს ხელუბნებ როგორც მხსნელს უყურებს სახ-
ელ, თუმცა შენ არ ხარ აქ. სიყმაწვილის ძალა რომ
მეზიოდა, შეუბო რომ შემერხია ბრძოლაში, და თან
მეზიოდა კადმოსელი თანატოლები, შენს შვილებს
გვერდით ამოუფდებოდნენ [440] მცველად; ახლა კი
გამოუეთხოვე ბედნიერ სიყმაწვილეს¹⁹.

მეორე ეპისოდონი

სახალხოდან გამომდის მეგარა; მას მოჰყვებიან
შეშინებული ბავშვები სამგლოვიარო სამოსში;

უკან მოჰყვებათ ამფიტრიონი.

კორიფაოსი. მაგრამ ცხედრე ოდენიც მძლავ-
რი პერაკლისის შეილება, რომლებსაც ძაძები აუ-
ვიათ და მის საყვარელ მეუღლეს, რომელსაც ბავ-
შვები მოჰყავს და პერაკლისის მოზრუნველობა. ვაი მე
უზედურს, ვეღარ ვაკადვებ ცრემლების ნაკადს [450]
ბეჭდრი თვალთაგან.

მეგარა. კარგი, ვინ არის ქურდუნი, ვინაა შემ-
ნოყილი ამ სევდამწარებელი ბავშვების? ვინ არის
ჩემი უზედური სულის მკვლეელი? სულუბი მზად
არაა ჰაღვინში ნახაყვანად. ცვილები, ერთად მიე-
დიგათ საზარელი ჯგუფი დეგერებისა, ბერიკაცი,
ბავშვები და დედები. ვაი უზედურო ჩემი და ამ
ბავშვების ბედო, რომლებსაც ჩემი თვალები უკა-
ნასწავლად ხედავენ! თქვენ გმოუბო, გაგზარდეთ,
რომ ჩემმა მტრებმა ქედამდებლად დაგცინონ და
დაგხოცონ! [460] ოჰ! მთელი ეს იმედები, მამათ-
ქეწნა რომ მომცა! იმედის ყველა ეს სიტყვა, რომ-
ლებიც მითხრა! ყველა შეიღს რიგრიგობით მიმარ-
თავდა და შენ გაძლივდა არგოსს შენი მკვდარი მა-
მა, შენ უნდა გეცხოვრა ევრისტეისის დარბაზებ-
ში, გემეფა ნაყოფიერი პელასგიაზე²⁰, გქონოდა
მშობინებლობა, თავზე კი უნდა დაგეხურა ლომის
ტყავი, რომლითაც თვითონ იყო შეიარაღებული.
შენ კი უნდა ყოფილიყავი ეტლებით სახელგან-

თქმული თებებს მეფე, მეგვიდრეობად უნდა მიგე-
ლო ჩემი ვრცელი მინები, რადგან ამაზე დაჯიჯიქნა
სხე შენი ძვირფასი მამა. [470] მარჯვენა ხელი შენ
სამუალებად კომბალი მოგცა ოსტატურად ნაკე-
თები, დედალოსის ცრუ საჩუქარი²¹. შენ კი დაგ-
პირდა, რომ მოგცედა ოქტალას²², რომელიც ოდე-
ლაც მისამა შვილადმა მოიპოვა, სამნი ხართ და სამ
სამუალებს მოგცედა, ამაყი თქვენი ვაჟაცობით; ამა-
სობაში მე გირჩევდით საუკეთესო საცოლეებს,
მინდოდა ქორწინებით დაგაგმირებოდით ათენს,
თებესა და სპარტას, რომ შეგდგომოდით გეცხოვ-
რათ ბედნიერი ცხოვრებით, კიო კარგად მომაგ-
რებულენს. [480] ყველაფერი ეს ამაო იყო. ბედის
ქარმა დაქროლა და საცოლეებად მოგცათ გერე-
ნი²³, ხოლო ჩემი ცრემლები იქნება საქორწინო გან-
ბანება; ვაი მე სულელური ფიქრებისთვის! მამათ-
ქეწნის მამა ამზადებს საქორწინო სუფრას, ჰა-
დესს მოუხმობს სიმანრად, მამის საზრუნავია. გა-
იმე, რომელი მივიკრათ პირველი მეგრე, რომე-
ლი ბოლო? პირველი რომელს გაცოცხთ და ბოლო
ვის ვაკოცო სიცოცხლეში? (კაცის, ტირის) რომ
შემეძლოს ფუტკაცხედი მოგვრებოთ თქვენი ტყუი-
ბიდან, თქვენი თვალებიდან მთელი მწუხარება,
რომ ცრემლების მდინარით დაგიტრიათ თქვენც
და საკუთარი თავიც მძიმე ტანჯვით. (ძლივს შორ-
დება ბავშვებს). [490] ჩემი საყვარელი პერაკლეს,
შენ მოვიხმობ, იქნებ შესაძლებელია, რომ მოკვდა-
ვის ხმა ისმოდას ჰაღვინის დარბაზებში. ვეფიან
მამაშენი და ბავშვები, მეც განხრული ვარ, მე,
ვინც ადრე შენ გამო უზედნიერსად მივანდი ყვე-
ლა მოკვდავს. მოდი, დაგვემარე. გვედრები გა-
მოწინად თუნდაც როგორც მოჩვენება, სიზმრადაც
რომ მოხიდე, საკმარისია, რადგან ლარჩები არი-
ან შენი შვილების მკვლელები.

ამფიტრიონი. მოამზადე დაკრძალვისთვის რა-
ცაა საჭირო, ქალო. მე კი შენ, ზეგს, ცაში ანგეფი
ხელით მოგმარათ, დაქსმარე ამ ბავშვებს, [500] თუ
ასეთია შენი გეზრახვა, თორემ მალე უკვე გვიან
იქნება. და მაინც ბევრჯერ მოგმარათ. აჰაო გარ-
ჯაა. სიყვდილი, როგორც ჩანს, გარდაუვალია.
(გუნდს) მაგრამ, მოხუცებო, ხანმოკლე სიცოცხლე,
ამიტომ რაც შეიძლება ტკბილად გაატარეთ, მწუ-
ხარე ნუ იქნებით დილიდან საღამომდე. დროს
ადარდებს ჩვენი იმედების ზენახვა. მიიღოდ თავი-
ნი საფიქრალი აქვს და მიფრინავს. შემხედეთ მე,
ნარმატებული ვიყავი, დიდი სახელი მოგიპოვე მოკ-

19 სტრ. 348-441. გუნდი იხსენებს პერაკლისის გმირობებს: ნემესის ლომთან ბრძოლას (ზეგისის ქალა - ნემეს ზეგისის
ტატიოთურთ); ენტიტროფთან ბრძოლას (პენეიოსი - მდინარე თესალიაში, იქვე მდებარეობს პელიონის მთა);
ხადიმირბას ორქოსისკენა ვეფილეს; დიომიდესის ცხენების მოთხიერებას (პეტროსი - ორქოსის მდინარე);
კოსოსთან ორთაბრძოლას; გამგზავრებას პესპერისების ზაღში ოქროს ვაშლების მოსაპოვებლად; ამპირებთან
ბრძოლას; ლერნის ასთავიანი ჰიდრისა და გოლიათ გერკონის მოკვლას; დამოლოს, ჩახელას ჰაღვინში კერძოების
ამოსაყვანად, რომლებიც, გუნდის ახრათ, ნარუმატებლად დისრულდა.

20 სტრ. 464. პელასგია - აქ: არგოსის სამეფო.

21 სტრ. 471. დედალოსის ცრუ საჩუქარი - პერაკლესის მისმა საბელგანთმუშლმა იარაღმა, კომბალმა, აქ ვერ უშველა
სწორედ ამიტომ უნდა მას „ცრუ საჩუქარი“.

22 სტრ. 473. ოქტალა - ვინაიდან „პერაკლესმა“ ევრიბიდეშ პერაკლესის გაგეგება მისი სიოცხლის ზოლოსკენ
გადაიტანა, ოქტალის აღებასთან არაჩინო საბედისწერო მოვლენები აღარაა დაკავშირებული (მდრ.
„პიმილიტოსი“, სტრ. 545-554).

23 სტრ. 482. კერები - ნიქსისა (ღამისა) და ერებოსის (წყვდილის) ასულები, სასიკვდილო სვედრის ქალღმერთები.



ვდავებში დიდი საქმეებით. მაგრამ ბედმა ერთ დღეში გამძარცვა ამ დიდებისგან, როგორც ქართი ბუმბული ცაში აიფრა. არავინ არ ვიცი, ვისი სიმდიდრე და დიდება მუდმივად რჩება მასთან; მშვიდობით, მეგობრებო, უკანასკნელად ვხედავთ ერთმანეთს, ძველ მოგობრებო, თანატოლებო.

მეგარა. აჰ! მოხუცო, ჩემს უსაყვარლესს ვხედავ? თუ რა ვთქვა?

ამფიტრიონი. არ ვიცი, ასულო: ენა წამერეთა.

მეგარა. ეს ისაა, ვისზეც გვითხრეს, მინისქვეშ არისო? თუ დღისით-მზისით სიზმარი რამ დაგვიტონის? რას ვამბობ? რა აჩრდილს ხედავენ ეს აღელვებული თვალები? მოხუცო ეს სხვა არავინაა თუ არა შენი ზეგალი. [520] მოდით, ბავშვებო, ჩაეჭიდეთ მამას სამოსში, იქცართ, ჩაეჭიდეთ და არ გაუშვათ, ისაა თქვენი მშველელი, თუმცა ჩვენი მხსნელი ზეესიც აქაა.

შემოდის პერაკლესი.

პერაკლესი. გაიხარე, სასახლე და ჩემი კერის კარიბჭე, რა სასიხარულოა სინათლეზე ამოსვლა და შენი ნახვა! აჰ! რა ხდება? სახლის წინ ბავშვებს ვხედავ სასიკვდილო სამოსელში, თავზე გვირგვინით, კაცების ბრბოში ჩემი მეუღლეა, მამაჩემი ტირის - რა უბედურებაა? მიმიშვით აბოლს, გამოვივითხო; ქალებო, ბედის რა უცნაური დარტყმა მოუვიდა ჩემს სახლს?

მეგარა. უსაყვარლესო კაცთაგან...

ამფიტრიონი. მამისთვის გამოჩენილო სინათლის სივო...

მეგარა. მოხვედი, რომ იხსნა დროულად შენთვის საყვარელი ბაღი?

პერაკლესი. რას ამბობ? რა არეულობაში მოვიდი?

მეგარა. ვიღუპებოდით; მაბატე, მოხუცო მეგობარო, თუ სიტყვა დაგასწარი, შენ გეკუთვნოდა მისთვის ამის თქმა; მაგრამ ქალის ბუნება უფრო მიდრეკილია გლოვისკენ, ვიდრე კაცისა და ეს ჩემი შვილები არიან, რომლებიც სასიკვდილოდ მიჰყავდათ და მეც ვიღუპებოდი.

პერაკლესი. აბოლონ, ეს რანაირი შესავალი სიტყვაა?

მეგარა. ძმები მომიკლეს და მოხუცი მამაც.

პერაკლესი. [540] როგორ ამბობ? რა ქნა? ვის შუბს შეეყარა?

მეგარა. ლიკოსმა, ამ მინის აბალმა მბრძანებელმა მოკლა.

პერაკლესი. სამართლიან ბრძოლაში შეხედა? თუ ქვეყანას სჭირდა რამე?

მეგარა. აჯანყებით: კადმოსის შვიდკარიბჭიან ქალაქს ფლობს ახლა.

პერაკლესი. შენ და მამაჩემი რაღამ შეგაშინათ?

მეგარა. მოკლას გვიპირებდნენ მამაჩემს და მეც ვხედავ.

პერაკლესი. რას ამბობ? რით შეაშინეს ჩემი ბოლმა ბავშვებმა?

მეგარა. კრეონის მკვლელობისთვის შური რომ არ ეძიათ.

პერაკლესი. ბავშვებს აცვიათ მკვდრების შეაფერისად.

მეგარა. ეს სასიკვდილო სამოსია, მე ჩავაცვი.

პერაკლესი. [500] მამ უნდა მომკვდარიყავით? ვაი მე უბედურს!

მეგარა. მეგობრებმა მიგვატოვეს, ვიცოდით, რომ მკვდარი იყავი.

პერაკლესი. საიდან გაჩნდა ეს სასოწარკვეთილი ფიქრები თქვენს თავში?

მეგარა. ევრისტეისის შიკრიკებმა გვამცნეს ეს პერაკლესი. რატომ დატოვე ჩემი კერა და სახლი?

მეგარა. გვაძულა; მამაშენი ლოგინიდან გამოათრევს.

პერაკლესი. არ შერცხება, უღირსად რომ მოქცა მოხუცს?

მეგარა. სირცხვილი? ეგ ქალმერთი და ის კაცი ცალ-ცალკე ცხოვრობენ.

პერაკლესი. ასე ღარიბი ვიყავი მეგობრებით აღარმყოფი?

მეგარა. ჰყავს კი კაცს განსაცდელში მეგობრები?

პერაკლესი. [560] მინილებთან რაც ვიომე, აღარ ახსოვთ?

მეგარა. არა ჰყავს-მეთქი, ხომ გაითხარი, მეგობრები უბედურებას.

პერაკლესი. მოიმორეთ ეგ პადესის თავსარი ქველი, შეხედეთ მზის სინათლეს, დაიონყეთ ქვეს კელების წყვილიან თქვენს თვალებში. მე კი - რადგან ახლა ჩემი ზღლის სამუშაოა, - პირველად წავალ და ახალი ტირანების სახლებს გაეცამტკვრებ, და როდესაც თავებს წაეცალი, ძალებს მოვუდებ საჯიჯგნად: ხოლო თითოეულ თებელა, რომელმაც ჩემს სიკეთეს ღალატით უპასუხა, [570] ამ გამარჯვების მომტანი იარაღით გაეანადგურებ; დანარჩენებს ამოუწყვეტ ჩემი ფრთოსანი ისრები, სისხლიანი ცხედრებით ავახვებ ისმენოს, ხოლო დორკეს კამეკამ ნაკადი გასისხლმდინარდება. ვის უნდა ვიცავდე, თუ არა მეუღლეს, ბავშვებს და ასაკოვან მამას? მშვიდობით, გმირობებო! ამოდ ჩავიდიხე ისინი, სჯობდა ამათ დაეხმარებოდი. მე მათ დაცვაში უნდა მოვკვდე, რადგან ისინი მამის გამო იცნენ განწირული; რა უნდა იყოს კეთილშობილი ჰიდრასთან და ლომთან ბრძოლაში, [580] ევრისტეისის ბრძანებით, თუ თითს არ გავანძრე, რომ შვილები სიკვდილისგან ეხსნა?

მაშინ აღარ მეკუთვნის, ვინოდებოდე გამარჯვებული პერაკლესად.

კორიფაიოსი. სამართლიანია, რომ მშობელმა დაიკვას შვილები, მოხუცი მამა და თანამეცხედრე.

ამფიტრიონი. ჩემო შვილო, შენი ვაღი, გიყვარდეს შენთანები და გძულდეს მტრები; მაგრამ შეტისმეტად ნუ იტყარებ.

პერაკლესი. სად არის აქ აუცილებელზე მეტი სიჭკარი, მამა?

ამფიტრიონი. ბევრი ლატაკი, სიტყვით რომ მდიდრობას ჩემულობს, ჰყავს მოკავშირედ მეფეს, [590] რომელთაც აჯანყება წამოიწყეს და დალუპეს ქალაქი თავისი მეზობლების გაძარცვის მიზნით; რადგან ქონება, თვითონ რაც ჰქონდათ, საკუთარი სხანარებით და უქნარობით გაფლანგეს. დაგინახდნენ, ქალაქში რომ შემოხვედი. რაკი ეს ასეა, გაფრთხილდი, ერთად არ შეჰყარო მტერი და არ დეცე მოლოდინის სანინააღმდეგოდ.

პერაკლესი. არ მაძარდე, თუნდაც მთელ ქალაქს რომ დავენახე. მაგრამ გზად ფრინველი ენახე, აეისმომასწავებელ ადგილზე იჯდა, მივხვდი, რომ რაღაც უბედურება სჭირდა ჩემს სახლს; ამის გამო განზრახა საიდუმლოდ შემოვედი ქვეყანაში.

ამფიტრიონი. კარგი; ახლა შედი და მიესალმე კერას [600] და დაენახე მამისეულ სახლს. რადგან თვითონ მოვა შენი მეუღლისა და ბავშვების სასიკვდილოდ წასაყვანად და მეც მიმამატებს სასიხლიან ახს მეფე. აქ თუ დარჩები, ყველაფერი კარგად იქნება, სარგებელს ნახავ ამ უსაფრთხოებით; ქალაქს კი ნუ აბლულებ, სანამ ყველაფერს არ მოაწყობ, ნეილო.

პერაკლესი. ასე ვიზამ, რადგან კარგად თქვი; შევალ სახლში. ბოლოს და ბოლოს ჩემი დაბრუნების შემდეგ უმზეო ჰადესისა და კორეს საუფლოდან, უპატივცემულოდ არ დაეტოვებ და მივესალნები ჩემი ქვრის ქვეშ ღმერთებს.

ამფიტრიონი. [610] მართლა შეხვედი ჰადესის სახლში, შვილო?

პერაკლესი. და სინათლეზე ამოვათრიე სამთავიანი მცევი.

ამფიტრიონი. ბრძოლაში დაამარცხე, თუ ქალღმერთმა გაჩუქა?

პერაკლესი. ბრძოლაში; რადგან გამიმართლა და საიდუმლოს ნაზიარები ვარ.

ამფიტრიონი. ახლა ევრისტესის სახლშია ურჩაული?

პერაკლესი. დემეტრის მღვიმესა და პერმოონეს ქალაქს ჰყავს ახლა იგი.

ამფიტრიონი. ევრისტესისა არ იცის, რომ ზედა სამყაროში დაბრუნდი?

პერაკლესი. არ იცის; აქ მოვედი, თქვენი ამბები რომ გამეგო.

ამფიტრიონი. ამდენი ხანი როგორ იტყვი ნიძო ქვეშ?

პერაკლესი. ერთხანს დაეცოვინდი, თესვესი რომ ამოგვეყვანა ჰადესიდან, მამა.

ამფიტრიონი. [620] და სადაა იგი? თავის სამშობლოში წავიდა?

პერაკლესი. ათენში წავიდა, ქვესკნელიდან გამოქცევით ბედნიერი. ახლა კი წამოჰყევით სახლში, შვილებო, მამათქვენს; ჩემი შინ შესვლა ხომ უკეთესია თქვენთვის, ვიდრე გამოსვლა. აბა, გამაგრდით და თვალებიდან ცრემლი აღარ დაღვართ; შენაც, ჩემო მეუღლე, თავი მოუყარე ვაჟკაცობას და შენეყვით ცახცახი; ხელი გაუშვი ჩემს სამოსს; მე ვერ გაგიფრინდებით და არ მინდა გაფუფრინდე იმით, ვინც მიყვარს. აჰ! როგორ ჩამაფრინდნენ ბავშვები! [630] კიდევ უფრო ჩამეჭიდნენ! რა დღენი, რა საფრთხეში ყოფილხართ! აბა, მე გაგიძლებით, როგორც დიდი ხომალდი და თქვენ გამომეყვებით პატარა ნაგებივით. უყურადღებოდ არ დავტყეფე მე ჩემს პატარებს. ამაში ყველა ერთნაირი ვართ; ყველას უყვარს შვილები, შეძლებულსაც და უმოვარსაც; სიმდიდრით განსხვავდებიან - ზოგს აქვს და ზოგს არა, შვილები კი ყველას უყვარს.

პერაკლესი, მებარა, ამფიტრიონი და ბავშვები შედინა სახალღები.

გუნდი

სტროფი პირველი

მიყვარს ახალგაზრდობა! სიბერე უსასრულო ტირითა! უფრო მიმე, ვიდრე გეტნს კლდეები. [640] თავზე მანებდა, თვალზე მაფნს წყვილიადის საბურველს. აზის ტირანების მიერ სიმდიდრეში, ოქროთი სავსე სასახლეებში არ გაცვლიდი სიგამანილე, რომელიც მწვენიერია სიმდიდრეში და მწვენიერია სიღარიბეში. სიბერე კი პირქუში და სასიკვდილოა; [650] მსულს იგი! ტალღებში ჩაიბოკა დაე, ვერასოდეს ვერ შეძლოს შესვლა მოკვდავთა სახლებსა და ქალაქებში, სულ ქარმა აფარფატოს ეთრეში.

ანტიტროფი პირველი

ღმერთებს რომ გამოველინათ გამჭირაობა და სიბრძნე ადამიანების მიმართ, ხალხი სიჭაბუკეს ორგზის მიიღებდა, ეს იქნებოდა ბილული ნიძანი დაფასების, [660] ვინც დაიმსახურებდა, სიკვდილის შემდეგ ისინი ბელმორედ ისევ შვის შუქს ნახავდნენ, ბოლო სულმდაბლებს ექნებოდათ სიცოცხლის მარტო ერთი წილი; ასე შეიძლება გავერჩიოთ სიკეთე და ბოროტება, როგორც მეზღვაურებმა იციან ვარსკვლავების რიცხვი ღრუბლებს შორის; მაგრამ ახლა არანაირი ცხადი საზღვარი არ არსებობს [670] კარგასა და ცუდს შორის; ესაა მხოლოდ: მუდმივად თუ იმრომებ, მხოლოდ სიმდიდრეს გაზრდი.

სტროფი მეორე

არასოდეს შეეწყვეტ ქარისებისა²⁴ და მუხების შეერთებას, უტყბესი ერთობაა. ნეტავ, არ მაცხოვრა უმეცართა შორის, მუდამ მამყოფა გვირგვინოსათა შორის. თუნდაც ასაკოვანი მომღერალი განადიდებს ისევ იმას, რაც ახსოვს: [680] ისევ პერაკლეს გამარჯვებებს ვუმღერი, თუ ბრომიოსა²⁵, ღვინის მზუქებელია ახლოს, ან თუ შეიდისიმიანი ღირისი პანგები ისმის, ან ლიბორი საღაბური კვენსის; კიდევ არ შეეწყვეტ მუხების დიდების სიმღერას, სანამ ჩემი პატრონები ცეკვავენ.

ანტიტროფი მეორე

დელოსის ნიმფები მღერიან სიხარულის სიმღერას ტაძრის კარიბჭის გარშემო, აპოლონის სადიდებლად, ლეტოს მშვენიერი ძის, [690] მოხდენილი მოცეკვაის. მეც ასე, როგორც ასაკოვანი გედი სიკვდილის წინ, ვიმღერებ ჩემი ბებერი ბაგუებით დიდების სიმღერებს შენი ტაძრის კარებთან. ბევრია მასზე სამღერი! შევსის ძეა ის, მაგრამ მის კეთილშობილ წარმომავლობაზე მაღლა დადგა მისი გმირობები, რადგან მისმა გარჯამ ადამიანს მშვიდი ცხოვრება მოუტანა, [700] როცა მოსპო გველა შემზარავი მხეცა²⁶.

ამფიტრიონი გამოდის სასახლის კარიბჭიდან. ამ დროს მოდის ლიკოსი ამაღასთან ერთად.

მესამე ეპისოდონი

ლიკოსი. სწორედ რომ დროულად გამობრძანდი სასახლიდან, ამფიტრიონ; დიდი დრო მოანდომეთ სასიკვდილო სამოსში გამოწყობას. ახლა კი მოუხმე ბავშვებსა და პერაკლეს მეუღლეს, გამობრძანდნენ ამ სასახლიდან, რომ მოკვდნენ, როგორც შემპირდით.

ამფიტრიონი. მეუფე, ძალიან მაინტოვებ, მიუხედავად ჩემი უბედურებისა და მეტისმეტად შეურაცხველად ისედაც გამწარებულს შვილის სიკვდილით. გმართებდა უფრო თავმჯდომარეული ყოფილიყავი შენს გულმოდგინებაში, თუმცა კი ჩემი ბატონ-პატრონი ბრძანდები; მაგრამ დაიხ, თუ გვაიძულებ, რომ უნდა მოკვდეთ, რა თქმა უნდა, გემორჩილებით.

ლიკოსი. სად არის მეგარა, სად არიან ალკმენის ძის შვილები?

ამფიტრიონი. (აქეთ-იქით იხედება) ფიქრობ, რომ იგი, როგორც გარედან ჩანს...

ლიკოსი. რის საფუძველზე ფიქრობ, საბუთად რა გაქვს?

ამფიტრიონი. ...ზის როგორც მავედრებელი საკურთხევის წმინდა საფეხურებთან...

ლიკოსი. მავედრებლობა გვერდებშია, გერგადარება.

ამფიტრიონი. ...და ამაოდ მოუხმობს თავს მკვდარ მეუღლეს.

ლიკოსი. ის ახლოს არ არის და ვერასოდეს ვერ მოვა, აშკარაა.

ამფიტრიონი. არა, თუ ღმერთთაგან ვინმე ალადგენს მკვდრეთით.

ლიკოსი. [720] მიდი მასთან და გამოიხმე სასახლიდან.

ამფიტრიონი. ამას თუ ვიზამ, მკვლელობის თანამონაწილე ვავხდები.

ლიკოსი. რაკი შენ გაღელვებს ეგ ამბავი, ჭეშის დავივიწყებ და თვითონ გამოვიყვან დედას და შვილებს. მომეყვით, მსახურებო, რომ მხიარულად დავასრულოთ ამითან გაჯანჯღლებული საქმე.

ლიკოსი და მისი ამაღა შედიან სასახლეში.

ამფიტრიონი. კარგი, ნადი, მიდი შენს ბედთან; დანარჩენზე სხვები იზრუნებენ და ბოროტი საქმეებისთვის სამაგიერო მოგეზღვება. პერიკაცებო, კარგ დროს მოდის, თავის დაღუპვას უახლოვდება. მკვლელები შედის იმის იმედით, რომ მოკლავს, მაგრამ ხმლები [730] მახე ვლოდება უბოროტესს. მეც შევალ, რომ ვნახო, როგორ დაეცემა მკვდარი. საამო სანახავია, როგორ კლავენ მტერს და როგორ იხდის სრულ ფასს თავისი სიავისთვის.

ამფიტრიონი სასახლეში შედის.

გუნდი

პირველი სტროფი

ბოროტების დასარული: ოდესღაც მძლავრი მეფის ცხოვრება შემობრუნდა და პადესის გზას დაადგა. დიდება შენ, სამართლიანობა და ღმერთებს გარდაუვლო სასჯელო!

კორინთიოსი. [740] დადგა დრო, როდესაც შენი სიკვდილით ვალს გადაიხდი, ქედმაღლურად რომ შეურაცხველ შენზე უკეთესები.

გუნდი. სიხარულმა ცრემლებად დამღვარა. იგი დაბრუნდა - რაც ჩემს ფიქრებში არ მეგონა, რომ მოხდებოდა, იმედი გადამწურა - ამ მინის მეფე დაბრუნდა!

კორინთიოსი. მამ, მოხუცებო, შევიხედოთ, ვნახოთ, ვინმეს ისეთი რამ ხომ არ შეემთხვა, რაც მე მგონია.

ლიკოსი. (სცენის მიღმა) [750] ვაიმე, ვაიმე!

გუნდი

24 სტრ. 673. ქარისები - მხიარულებისა და სიცოცხლის ხალისის სამი ქალღმერთი, დახვეწილობისა და მომხიბვლელობის განხორციელება: აგლაია („სილამაზე“), ეფროსინე („სიხარული“) და თალია („სიუხე“).

25 სტრ. 680. ბრომიოსი - დიონისოსის (ბაკქოსის) რიტუალური ეპითეტი; მას მუდმივად ახლდა ბაკქოსის გამამაგებელი მხეცელების, ბაკქანტების, გუნდი. მისი მუშვივი ატრიბუტებია თირსოსი (სურთი და ვაზით მორთული კვრთხი) და წინილა.

26 სტრ. 637-700. ამ გუნდის სიტყვებში ბევრი მკვლევარი ხედავს პოეტის მიერ საკუთარ ასაკზე ხაზგასმას: ევრიპიდემ „პერაკლესის“ მექმნისას გადააბიჯა სამოცდაათწლიან ზღურბლს.



ანტიტროფი პირველი

რა ტუბილია პირველი ბერა სასახლეში წა-
მოწყებული სიმღერისა; სიკვდილი ახლოსაა მას-
თან ახლა. მეფე ყვირის, მოთქვამს სიკვდილის შე-
სავლზე.

ლიკოსი. ო კადმოსის მთელი მინაე, ვილუბები
ცხირებით.

კორიფაიოსი. შენ თვითონ მოიწიე ეს, როდე-
საც სხვები დადუბე; ახლა სამაგიერო მოგეზღო! ეს
სასჯელია იმისთვის, რაც დაამყვე.

გუნდი. ვინ იყო იგი, მხოლოდ მოკვდავი, ნეტარ
ზეგურ ღმერთებზე რომ ბრიყვულად ბრძანა, უკე-
თური მკრეხლობით მიიწინა ისინი უსუსურებად?

კორიფაიოსი. [760] ბერიკაცებო, ის ზინიერი კა-
ციიარ არის! სახლი დუმს, ცეკვა უნდა დავიწყოთ,
ბედმა გაუღიმა, როგორც მინდოდა, ჩემს მეგობ-
რებს.

გუნდი

სტროფი მეორე

[33კა, 33კა და ნაიმი მეფობენ ახლა მთელ
მხინდა ქალბუ თებებში. ცრემლებმა და მსუხარებამ
აფელი დაუთმეს სიმღერას. ახალი მეფე ნაბრძან-
და; ძველი მონარქი [770] მეფობს, ჩამოვიდა აქერო-
ნის ნავსაყდელიდან. ყველა მოლოდინის სანინა-
აღმდეგოდ, იმედმა მაინც გაიმარჯვა.

ანტიტროფი მეორე

ღმერთი, ღმერთები ზრუნავენ, რომ დაინა-
ხონ უსამართლობა და ღვთისმოსაობა. ოქროსა და
ნარბატებს შეცდომამი შეჰყავს მოკვდავი და გო-
ნებას უსამართლო ძალაუფლების კენ უბძივებს. ხო-
ლო დროის შემოტრიალებამ რა შეიძლება მოიტა-
ნოს, ამაზე ფიქრს ვერ ბედავს, მაგრამ როცა კა-
ნონს უგალობდნენ და უკანონობას ეძლევა, [780]
დავად ამსჯერეს ნარბატების მე ეტლს.

სტროფი მესამე

ასმენოს, მოირთე გვირგვინებით! შეიდაკრიბ-
თან ქალაქის მოკირწყლულ ქუჩებში, იცეკვეთ!
დირე ღამიზნაკადიანო, ნიშნებო, ასოპოსის²² ასე-
ლები, ამოდით შამის ტალღებიდან და შეუერთეთ
ხმა ჩვენს ჰიმნს, ჰერაკლესის სახელოვან გამარ-
ჯებას. [790] პითოს ტყიანო კლდეო, ჰელიკონელი
ზუზუნის სახლო, ჩამოდით ჩემს ქალაქში და გააგ-
ზეთ მისი გლეხები სიხარულის ყვირით; სადაც გაჩ-
ნდა სპარტების მოდგმა, სპილენძისფარიანთა რაზ-
მი, რომელმაც გადასცა თავისი სამეფო, თებებს წმინ-
და ნათელი შეიღების შეიღებს.

ანტიტროფი მესამე

საკურწინო სარეცლის ორო ნეფვე, მოკვდავად
წობლო და [800] ზევს, რომელიც მობრძანდი სა-

ქორწინოდ პერსეესის შთამომავალ პატარაძალაში
ამ ქორწინების ნამდვილობა, ზევს, გასაძლევად
მი გამძღვირე ყველა მოლოდინის მოუხედავად.
დრომ დაადასტურა ჰერაკლესის ძალის ელვარება;
იგი ამოვიდა მინისქვეშა მღვიმეებიდან და ქვემოთ
დატოვა პლუტონის დარბაზები. შენ ჩემთვის უფ-
რო მძღვირი მბრძანებელი ხარ, [810] ვიდრე ის სა-
ცაგელი წარმოშობის მეფე, რომელიც ცხადად დაი-
ნახავდა მეომრებს შორის ბრძოლაში, დარჩა თუ
არა სამართლიანობას გასავალი ღმერთებში.

მეთხე ეპისოდონი

შეშით ჩნდებიან ღისა, შეშლილობის ქალღმერ-
თი და ღმერთების მიკრიკი ირისი. გუნდი მათ ზე-
დაეს.

კორიფაიოსი. შეი, შეი! ხედავთ იქ, ბერიკაცე-
ბო, ეკლური შიში დაგვეცა თავსა, რა არწილია, სახ-
ლის თავზე რომ ცხედავ? გაიქცეთ, გაიქცეთ, ზან-
ტი ფეხი გაანძირე, მოშორდი აქურობას! [820] მე-
უფე პაიან²³, მაშორე ეს უბედურება!

ირისი. გამაგრდით, ბერიკაცებო! ეს ქალი, აქ
რომ ხედავთ, გახლავთ ღამის ქალიშვილი ღისა, მე
კი ღმერთების მოახლე ირისი ვარ. ქალაქს არანაირ
ზიანს არ მივაყენებთ, მხოლოდ ერთ ცაცსა და მის
ოჯახს ეგომებით, რომელსაც ზევსისა და ალკმენეს
ქედ იხმოვნ. რადგან სანამ დაასრულებდა თავის
მძიმე გმირობებს, ბედი იცავდა და მამა ზევსი ნე-
ბას არ გვტოვდა არც შერასა, არც მე რამე დავე-
შავებინა მისთვის. [830] მაგრამ აილა, რომელიც ევ-
რისთვის დაგაილებებს მორჩა, პერას სურს შებე-
ლოს იგი დანაშაულით, მშობლიური სისხლის დაღ-
ვრით, სურს, საკუთარი შვილები დაახოცინოს და
მეც ეს მსურს. ახლა მიდი, შავი ღამის გაუთხოვარო
ქალწულო, დაუნდობლად გაიმხეცე ვული, სიგიჟე
მიუღწიერ ამ ადამიანს, შეშლილს შვილები გააფე-
ტინე, ტვინი აუღმურე და ფეხები აუცახცახე. გა-
აშმაგე, აუშუი სიგიჟის იალქნები, რომ თავისი მკვლე-
ლი ხელით ჩააბაროს აქერონის ნაეა ბავშვების ეს
მშვენიერი გვირგვინი. [840] გაიგოს, რამოდენაა მის
წინააღმდეგ პერას მრისხანება და ჩემიც გამოსცა-
დოს; თუ ის გაეცეცვა სასჯელს, ღმერთები იქნები-
ან არაფერი და მოკვდანი ცველაფერი²⁴.

ღისა. კეთილშობილი მამისგან და დედისგან
ვიშეი, ღამისგან და ურანოსის სახლიდან; და მე მა-
კისრია ეს მოვალეობა. არ მინდა, მიემართო იგი ე-
გობრების მიმართ, არანაირად არ მახარებს, ადა-
შიანთა სახლებს თუ უნდა ვცნობ; ანტომ მინდა
პერას მიეცე რჩევა, სანამ იგი მძიმედ შეცდება და
შენაც, თუკი ჩემს სიტყვას დაუფრებ. ეს კაცი, რომ-
ლის სახლშიც მე მაგზავნით, უცნობი არ არის არც
მინაზე და [850] არც ღმერთებისთვის; მან აითვისა

27 სტრ. 785. ასოპოსი - მდინარე ჰელიკონში.

28 სტრ. 800. პერსეესის შთამომავალი პატარაძალი - ალკმენე; მამამისი ელექტრიონი (იხ. სტრ. 17 და შენ.) პერსეესის
ძეა.

29 სტრ. 821. პაიან - აპოლონის ძველი სახელი.

30 სტრ. 822-842. ირისის მოხილვას ევროპედს პროლოგოსის ყველა ნიშანი აქვს, რაც ხაზს უსვამს ამ ტრადიციის
ფორმალურ ორწინიანობას; დრამის ორი ნახევარი შეერთებულია კონტრასტული პრინციპით.

გაუვალი მინა და აბოზოქრებული ზღვა, მან ერთმა აღადგინა ღმერთების პატივისცემა, უღირსი კაცების მიერ შელახული. [...] ამიტომ გირჩევ, ნუ უსურვებთ მას ბოროტებასა და უბედურებას.

ირისი. შენი შენიშვნა არ სჭირდება პერასა და ჩემს ჩანაფიქრებს.

ლისა. მინდა დავანახო უკეთესი გზა და ბოროტ გზას აგაცილო.

ირისი. აქ ჭკუის დახარიგებლად არ გამოუგზავნიხარ ზევსის მუფლეს.

ლისა. პელიოსს ვიმონებ, რომ იმას ვაკეთებ, რის ვაკეთებაც არ მსურს; მაგრამ მე უყოყმანოდ უნდა დავგმორილო პერასაც და შენც [860] და გამოგყვ, როგორც ძაღლები მიჰყვებიან მონადირეს, მაშ, მივდივარ: ვერც ოკეანოსი თავისი მძვინვარედ მოგუგუნე ტალღებით, ვერც მინისტრა, ვერც ელვა სულთმობრძაობის აფეთქებით ვერ შეედრება იმ დაუოკებელ იერიშს, რომლითაც პერაკლესის გულში შევიქრები; ჭერიდან დავაცხრები თავს მის სახლს, უპირიქესად ბავშვებს დაეღუპა; მათ მკვლელს არ ეცოდინება, რომ კლავს თავისსავე ჩასახულ შვილებს, სანამ არ გამოვიყვან შემოიღობიდან. ახლა უყურეთ, როგორ ველურად აქანებს თავს და თვალებს აბრიალებს და აქეთ-იქით ატრიალებს უსიტყვოდ; როგორ ვერ აკავებს მოცახცაზე სუნთქვას, როგორც საშინელი ხარი, თავდასხმას რომ აპირებს. ბლავს, [870] უხმობს ქვესკნელის ქალღმერთებს, ტარტაროსის კერებს. მალე კიდევ უფრო ველურ ცეკვას დავანწყობინებ და ძრწოლის ბეგრას ჩაგიდებ ყურში. ნადი, ირის, ოლიმპოსისკენ გასწი კეთილშობილი გზით. მე კი, უხილავი, შევიპარები პერაკლესის დარბაზებში.

ირისი და ლისა კრებიან.

გუნდი. ვაიმე, ვაიმე! იტირეთ; ზევსის ძე, შენი ქალაქის ყვავილი, მონყვეტილია. ვიი საბერძნეთს! გეპირება შენი კეთილისმყოფელი, ისპობა იგი, უკვე ცეკვავს ლისას სიგელის სალაშქროს ხმაზე. [880] შედგ თავის ცეცხლზე, კვენისი დედოფალი, დაქრიან მისი ცხენები, ემზადება თავდასხმისთვის, ღამის ასული, ასი გველის თავი უსისისნებს თვალებიან თებულ ლისას. ღმერთმა მალე შეცვალა ბედი უბედობით, მალე მამა საკუთარი ჩელით ბავშვებს სულს ამოხდის.

ამფიტრიონი. (შვინიდან) ვაი მე უბედურს! უსამართლო შურისძიება!

გუნდი. აჰ, ზევს! გამამაგებული, უმი ხორცის მჭამელი, უსამართლო შურისძიება შენს შვილს მალე უშვილოდ აქცევს და [890] უბედურებაში ჩაადგებს.

ამფიტრიონი. (შვინიდან) ვაი ქერო!

გუნდი. ინყება ცეკვა დოლის გარეშე, ბრომიონის საყვარელი კვერთხის გარეშე.

ამფიტრიონი. ვაიმე სახლო!

გუნდი. სისხლს დაღვრის და არა დიონისოს ყურძნის წვენის ზედაშეს.

ამფიტრიონი. (შვინიდან) გაიქეცი, ბავშვებო თავს უშველეთ!

გუნდი. ეს სიკვდილის ხმაა, სიკვდილის, სალაშქროს კი არა! დარბის, ბავშვებზე ნადირობს! ლისა უნაყოფოდ არასოდეს არ აწყობს სახლში ბაქტოს მისტიერებს.

ამფიტრიონი. [900] (შვინიდან) ვაი, უბედურება!

გუნდი. ვაი! დავტირი ამ მოხუც მამას, ამ დედას, ბავშვების გამზრდელს, რომელმაც ამოდ მუშევილები.

კორიფაიოსი. უყურე, უყურე! ქარიშხალი, ქერი ჩამოიქცა!

პერაკლესი. (შვინიდან) ჰეი ჰეი! რას უშვრებს, ზევსის ასული, სახლს? ტარტაროსულ ნგრევას უზნავნი სასახლეს, როგორც ოდესღაც ეს გაუკეთებელადოსს, პალას!

სასახლიდან გამოდის მაცნე.

მაცნე. თერთმთიანო მოხუცო...

გუნდი. რატომ მომიხმობ [910] ამ ხმაზე?

მაცნე. საშინელებაა სასახლეში.

გუნდი. მისანიც არაა საჭირო!

მაცნე. დახოცა ბავშვები!

გუნდი. ვაიმე!

მაცნე. იტირეთ, გოდემა გმართებთ!

გუნდი. სასტიკი მკვლელები, მტარვალი მამის ხელები!

მაცნე. ვერავინ აღწერს ჩვენს უბედურებას.

გუნდი. როგორ აღვიწერ მამისგან განწირული ბავშვების სატირალ ბედს, ბედს? გვითხარი ღმერთებიდან გამოგზავნილი განსაცდელი როგორ დაატყდა [920] სახლს თავს და გააცამტვერა; თქვე საბრალე ბავშვები როგორ შეხედნენ ბედისწერას?

მაცნე. სახლის განსანმედელო მსხვერპლი თავმოყრილი იყო ზევსის საკურთხეველთან, რადგან პერაკლესმა მოკლა და სასახლიდან მოისროლა ამ მინის მეფე. ბავშვების, მამამისისა და მეგარას მშვენიერი გუნდი იყო. კალათმა უკვე შემოუარა საკურთხეველს³¹ და ჩვენ ვიცავდით ღვთისმოსავ დუმოსს; მაგრამ როგორც კი მარჯვენა ხელით აიღო ჩირაღდანი, რომ წმინდა წყალში ჩაეყო, აღკენნეს ვაჟი [930] უსიტყვოდ შეგირდა. მაშა რომ შეყოვნდა, ბავშვებმა შეხედეს მას; ის უკვე ის აღარ იყო, სისხლით ჩაწითლებულ თვალებს ატრიალებდა, ბუდიდან კინაღამ ამოუვარდა, ვერჩევი ქაფი მოადგა. მოაღოს ხმა ამოღო და გიჟური სიცილით გაიკინა: "ბაბა, რატომ

31 სტრ. 926. კალათმა უკვე შემოუარა საკურთხეველს - კალათი, რომელშიც მსხვერპლშენიერვისთვის საჭირო ნივთები იყო ჩაწყობილი, მათ შორის წმინდა წყლიანი ჭურჭელი; მასში ავადებდნენ საკურთხეველის ნახშირის ნატეხს და ამ წმინდა წყლით აკურთხებდნენ მსხვერპლშენიერვის ადგილსა და მის მონანილებებს (იხ. სტრ. 928).

აფთონი ევროსთევის მოკლადე განმმედი ცეცხლი, ორჯერ რატომ გაეროჯე? როდესაც შემოიღო ორი-ე ერთი ხელის დაკვრით ერთბაშად გადაეწყვიტო? როდესაც აქ მოვიტანე ევროსთევის თავს, [940] ორი მკვლელობისთვის ერთად განვიმნდე ხელებს. გა-დასტოვო ხელის, ხელიდან გაუშვეით კალათი. ვინ მომ-ცემს მშვილდს? ვინ მომცემს კომბალს? მიკენში მიგ-დევარ, საჭირია, ხელი დავაღლით ძალაყინება და წრეცვებს, რათა ისეც დავამსხვრიო რკიბის ნერაყი-ნთ ქალაქის კედლები, რომლებსაც კიკლოპებმა მე-წაწული სამართითა და ურითი საძირკველი ჩაუყა-რეს. და ნაივია ასე, ტელი არ ჰყავდა, მაგრამ ეგონა, რომ ჰყავდა; მასზე თითქმის ავიდა, თითქმის დაგდა და წკება ისე მოიწნია, თითქმის ხელში მართლა ეჭო-რა. [950] ორბაშა გრინობამ, სიცილება და ძრწოლამ ერთდროულად შეიკრიო მსახურელი. ერთმანეთს გა-დახედეს და ერთმა თუვა: "გვეთამაშება ბატონი თუ ჰეიშალა?" დაიწყო სასახლები ზეითი-ქვეით სირბი-ლი, კაცების ნახევრის შუაგულში დადგა და გამოგ-ეოხება, ნისოსის³² ქალაქში ჩავედიო. შევიდა თუ არა სახლში, იატაკზე წამოქნა, როგორც იყო, მოემ-ხადა ლხინისთვის. ცოტა მოსიყენა და შემდეგ და-იწყო ისევ ერთული სახლში და განაცხადა, ისეთი-ის ტყუან ზეობაში ჩავედიო. შემდეგ, ეგონა, რომ ის-თმოსურ თამაშებში მონაწილეობდა, გაიხადა ტანზე [960] და დაიწყო ჭიდაობა მეტოქესთან, რომელიც არ არსებობდა და საკუთარი თავი მაგის დადგენებული ანთ გამარჯვებულად გამოეცხადა მაყურებლებს, რომელიც არ იყო. შემდეგ სახტიკო მუქარის სიტყვე-ნი შეუთვალა ევროსთესს მიკენიდან, სადაც ეგონა, რომ იყო. მაშამისი მის მაგარ მარჯვენას შეეხო და უთხრა: "შვილი, რა მოგდეს? რა უცნაურობებს ჩა-დინარ? იქნებ შენი ზოლი მსხვერპლის სისხლმა და-კისნელა გონებია?" მან კი თანავალა, რომ მაშამისი ევ-როსთესის მამა იყო და იმითვე უხედავად, რომ ევ-როსთესის გადარჩენას სათხოვდა; ამიტომ ის მოიცი-ლა. შემდეგ კი ისარი აიღო, მშვილდი მოიზიდა და [970] აკუთარ შეიღებს დაერია მოსაკლავად, რადგან ისი-ნი ევროსთესის შეიღები ეგონა. ისინი, დაზაყრუ-ლები, აქეთ-იქით გარბოდნენ, ერთი დედის კალთას ზეჭიდა, მეორე სვეტას ჩრდილს ახოფარა, მეამბო-კე საკურთხელების ქვეშ ჩიტივით შეიყუცა. მანამ მათ-მა დედამ დაიყვირა: "რას შერბი, მშობელო? ბაე-შებს კლავ?" ბერიკაცი და მსახურების ბრბოც ყვი-როდა. ის კი სვეტის ირგვლივ დასადგა ბავშვს, ეს ყო სასარგებლო ტრიალი და როდესაც პირისპირ გა-უსწორდა, [980] შიგ გულში³³ ესროლა. ბავშვი ზურ-ვედ დავიკა, მოთხვარა სისხლით ქვის სვეტი და საული ამოხდა. მამამისმა კი გამარჯვების ყიფინა დასცა და სწამალა დაიკაძნა: "ევროსთესის ერთი ბარტიკი აგერ კედელმა, სამაგიერო ზოო მაშამისის ჩემს მი-წართ ბოროტებისთვის!" შემდეგ მშვილდი მიმართა

მეორე შეიღებს, რომელიც მინაზე იყო გასართი-ლი საკურთხელების ძირში; ეგონა, მკვლელი ვერ დაი-ნახადა და მას დაუფრებოდა. სანამ ესროდა, საბ-რალი ბავშვი უზღუდში ჩაუვარდა მამას, ხელი გაიწ-ვიდა, მის ნეწის ან კისერს რომ მიწვდენოდა და და-უყვირა: "ო, მომისმინე, უსაყვარლესო მამა, არ მომ-კლა! მე შენი შვილი ვარ, შენი საკუთარი, ევროსთე-ვის შვილს არ კლავ ახლა." [990] იგი ავად მზირალი გორგოს მზერით მობრუნდა, რადგან ბავშვი ახლის ედგა და მშვილდს ვერ იხმარდა, თავი დაუღწია, რო-გორც მტკელი უტყამს გამეტებით უროს, ასე დის-ცა თავისი კომბალი ოქროსთითან ბიჭუნას და დაუმ-სხვარა თავის ქალა. ისევ დაიძრა, რომ მესამე მსხვერ-პელი შეემატებინა ამ ორისათვის. მაგრამ სანამ ამას მოახერებდა, საბრალი დედამ ხელი დააეღო შვილს, ოთახში შევარდა და წინ ყველა კარი ჩარაზა. მაშინ მან წარმოადგინა, რომ მის წინ მართლაც კიკლო-პების გალავანი იყო, კარის ქვეშ ამოთარა ნერაქ-ვით, აზოადლო კარები ჩარჩოიხანად [1000] და ერთი ისარი განემოჩრა ორივე, მუღულუც და ბავშვიც. მერე ეველური სულით მამამისის მოსაგლეჯად გაიწია; სწო-რედ მაშინ გამოჩნდა აზრდილი, როგორც ჩვენ მიე-ხევიდა, ვინც ვუყურებდით, ეს პალასის აზრდილი იყო, თავზე ჯდინამი მუხარადი ესურა და ფარს არჩივდა. ლოდი ესროლა პირდაპირ მკერდში მერაგელსა, რომელმაც მკვლელობის ნყურვილის შემოღობა ჩა-უცხარა და ძილქში მოუღვინა. მინაზე დავიკა და ზურგიით მიეგრინო ერთ-ერთ სვეტს, რომელიც ნა-იქცა და ორად გატყდა, როდესაც საბურავი ჩამოიქ-ცა. [1010] ამახ მოგვცა საშუალება, მოგვეკრიფა ძა-ლა; დავეხმარეთ მამამისს და შევეკარიო კაცი, თოკის კარგად შეკრული ეკანძებთ სვეტს მივახდა, რომ გაღვიძებულმა ახალი უბედურება არ დაგვაცხობს თავს. ზუბედურს სძინავს არა ბედნიერი ძილით, სი-ნაყს ბავშვებისა და მეთულის მკვლელებს. შე კი არავინ მეგულება მოკვდავთაგან მასზე უფრო მეტად.

მაინე გადის.

გუნდი. საბერძნეთში ჩადენილი ყველაზე დაუ-ჯერებელი და ყველაზე ცნობილი იყო მკვლელობა, რომელიც არგოსის კლდე ახსოვს, რაც დანაშაულის ქალიშვილებმა ჩადიდეს, მაგრამ ამახ გადააჭარბა, [1020] გადაასწრო მაშინდელ უბედურებას... ვაი ზეუ-სის უბედურ ძეს! შემოიღო ეახსენო პროკნეს მიერ ჩადენილი მხოლოდშობილი ძის მკვლელობა და მე-უბისთვის შეწირვა; ძეს კი სამი მშვილი ჯავდა, უბე-დური მშობელი და შენს სიგიჟეში სამივე მოკალი. ვაი! რა ცეცხლა, რა მოთქმა, რა ხამგლოვიარი და-ტირება, რა სიკვდილის ცეცხა წამოიწიო? ვაი, ვაი! უყურეთ, მაღალი საახალისი [1030] ჩარაზული კარი გაიღო. ვაიმე! შეხედეთ უბედურ ბავშვებს³⁴, ისინი წუნან მათი უბედური მამის წინ, მას კი სძინავს სა-

32 სტრ. 954. ნისოსი - მეგარის ლეგენდარული მეფე.

33 სტრ. 980. შიგ გულში - იმ ფსიქოლოგიურ ფუნქციებს, რასაც ჩვენ გულს მივანერთ, ძველი ბერძნული ლეილა მაინერდნენ. ამ ადგილასაც ორიგინალში ლეილა (Ψαλ) წერია.

34 სტრ. 1031. უბედურ უბედურ ბავშვებს - ორქესტრის მიღმა მომოდარი მოვლენების საჩვენებელი ბერძნულ თეატრში გამოიყენებოდა ასეცალაფერი მოწყობილობა, ე.წ. ეკატალკა - ბორცვებიანი მოძრავი ბაქანი, რომელიც გამოდიოდა სცენის ცენტრალური კარიდან. მასზე ჩვენს ტრადიციამ დაავსებული იყვნენ სვეტის ნაშთაგვრეზე მიბმული ჰერაკლი და მოკლელთა ცხედრები.



შინელი ძილით მათი სისხლის დაღვრის შემდეგ. ირ-გელივ შემოგვეული აქვს ზუნდები და თოკი, სახელ-დახელოდ შეკრული კვანძები ჰერაკლესია სხელ-ლის ირგვლივ, რომელიც მიმბუღია მისი სასახლის ქვის სვეტზე.

ექსოდოსი

წინა სცენაზე ჩანს სვეტზე მიბმული მძინარე ჰერაკლესი. იქვე ყრია მშვილდი, კაპარჭი და მი-ბობნეულია ისრები. ჩანს მეგარასა და სამი ბაგშვის ცხედრები. სცენის სიღრმეშია ამფიტრიონი.

კორიფაიოსი. ამფიტრიონი უფრთო ჩიტვიით დასტირის [1040] თავის დაუფრთიანებელ ბუდო-ბას, აჩქარებული მოდის აქეთ მოხუცი, მერყევი ნა-ბიჯით მოყვება თავის მწარე ხვედრს.

ამფიტრიონი. კადმოსელო ბერიკაცებო, ჩუმად, ჩუმად, იყოს, ეძინოს, დაიგინყოს თავისი დარდი.

გუნდი. შენ გგლოვობ და დაგტირი, მოხუცო, ბავშვებსა და ამ გამარჯვებულ კაცსა.

ამფიტრიონი. უკან დახიეთ, ნუ ყვირიხართ, ნუ ხმაურობთ, ნუ გამოაღვიძებთ [1050] ღრმა ძი-ლიდან.

გუნდი. ვაიმე, ეს სისხლი...

ამფიტრიონი. ეჰ, ეჰ! დამლუპავთ.

გუნდი. ...დაღვრილი ამოდის მის ნინააღმდეგ.

ამფიტრიონი. ჩუნად იგლოვეთ, ბერიკაცებო!

თორემ გაიღვიძებს, დაწყევტს ამ თოკებს, გახან-გურებს ქალაქს, მამასაც მოკლავს და დააცეცეს სა-სახლეს.

გუნდი. არ შემძლია! არ შემძლია!

ამფიტრიონი. გაჩუმდით, სუნთქვას შევუმონ-მებ; [1060] შოდი, უურს დავადებ.

გუნდი. სძინავს?

ამფიტრიონი. დიახ, სძინავს, მაგრამ რა ძილი! მკვლელის ძილით: ცოლი და შვილები ამოხოცა თა-ვისი მოზუზუნე მშვილდით.

გუნდი. იგლოვებ ახლა.

ამფიტრიონ. ვგლოვობ.

გუნდი. ბავშვების დაღუპვა...

ამფიტრიონი. ვაიმე!

გუნდი. ...და შენი შვილის უბედურება.

ამფიტრიონი. ვაი!

გუნდი. მოხუცო...

ამფიტრიონი. ჩუმად, ჩუმად! შეტრიალდა! იუ-ვიძებს! [1070] მე ნაფალ და დავიმალეხი სასახლეში!

გუნდი. ნუ გეშინია! ღამემ ისევ მიუღულა თვა-ლი შენს შვილს.

ამფიტრიონი. უყურეთ, უყურეთ! სიკვდილის კი არ შეძინია ამდენი უბედურების შემდეგ, მე გა-ჭირვებულს! მაგრამ მამას თუ მოკლავს, მაშინ ერთ

უბედურებას მგორეს მიუმატებს და თავის ერინი-
სებს მაიმამკელელზე შურისძიებასაც დაუმატებს.

გუნდი. მამ შენ უნდა მომკვდარიყავი იმ დღეს,
როდესაც შენი ცოლისთვის შურის საძიებლად წახ-
ვედი მისი მკვლელი მძების დასახოვად და [1080]
ტაფოსელების³⁵ ზღვით განაბანილი ქალაქის დასაქ-
ცედად.

ამფიტრიონი. გაგიცემო, გაგიცემო, ბებრებო,
შორს, შორს სასახლიდან, გადავურჩეთ მის მძინე-
ურებას. გაგიცემო, თორემ ის ახალ მკვლელობებს
მომატებს ძველებს და მძინეწარება კადმოსის მთელ
ქალაქს მოიცავს.

კორიფაოსი. ო ზევს, რატომ მოიძულე ასე ვე-
ლურად საკუთარი ვაჟი და რატომ ჩააგდე იგი ამ
განსაცდელის ზღვაში?

პერაკლესი. [იღვიძებს] აჰ! ცოცხალი ვარ და
გსუნტავ, თვალებიც ხედავენ, რასაც უნდა ხედავ-
დნენ, [1090] ცას, მიწასა და სხივების მომღერ შუეს;
მაგრამ სული შორევესა და მკვლევარებაშია... დავე-
ყო და ცხელი სუნთქვით გსუნტაქე, ძლივს ამოდის
ჩვენი ფილტვებიდან. ეს რაა? რატომ ვწევარ აქ,
ჩემი მძლავრი მკერდი და საჭურველი რატომია გე-
მივით მობმული ნახევრად დამსხვრეულ ქვის სვეტ-
ზე ზეზობულ სხეულებთან ერთად? რატომია იატაკ-
ზე დაყრილი ჩემი მშვილდი და ისრები, ჩემი მარ-
ჯენის ერთგული მეგობრები? [1100] ეს ისრები მი-
ცემდნენ მე და მეც მათ არ უნდა ვიცავდე საგულ-
დაგულად? ხელმეორედ ხომ არ ჩავედი შადესში,
როცა ახლახან დაგბრუნდი იქიდან ეგრისთესთან?
შადესში? საიდან? მაგრამ სისიფოსის კლდეს ვერ
ვაუღავ, პლუტონსაც, ვერც დემეტერის ასულის
ვერთხს. აშკარად დაბნეული ვარ, სად ვარ ასე
უზბედო? ეი, მან! რომელიმე ჩემი მეგობარი არ
არის ახლო-მახლო, რომ ამ არცოდნიდან გამომიყ-
ვანოს? რადგან ჩვეული საგნების ცხადი ცოდნა არ
გამაწნია.

ამფიტრიონი. ბერიკაცებო, მიცუვასლოდე ჩე-
მი გლეხის ადგილს?

კორიფაოსი. [1110] დიხ და ნება მომეცე, მეც
ნამოვიდე, არ მიგატოვო განსაცდელში.

პერაკლესი. მამა, რა გატირებს და რატომ მა-
რიდებ თვალებს, შორს რატომ დგახარ შენი საყვა-
რული შვილისგან?

ამფიტრიონი. ო, შვილო, რადგან ცუდად რომ
ხარ, მაშინაც ჩემი შვილი ხარ!

პერაკლესი. რატომ, ასეთი რა მჭირს, ასე რომ
ჭირი?

ამფიტრიონი. თვითონ ღმერთიც, თუ გაიტე-
ბა, იტირებდა.

პერაკლესი. დიდი სიტყვებია, მაგრამ რა მოხ-
და, არ ამბობ.

ამფიტრიონი. თვითონაც ხედავ, თუ დაგბრუნ-

და უკვე გონება.

პერაკლესი. მითხარი, რამე ახალი ენუქრება
ჩემს სიცოცხლეს?

ამფიტრიონი. თუ ჰადესის ავი სული აღარა ხარ,
გეტყვი.

პერაკლესი. [1020] ვაიმე, ისევ საეჭვო და ნარ-
თაული ლაპარაკი!

ამფიტრიონი. ჯერაც ვამაწმებ, სალად აზრო-
ნებ თუ ვერა.

პერაკლესი. არაფერი არ მახსოვს, შემოიღი
თუ ვიყავი.

ამფიტრიონი. შეეხსნა ბორკილები, ბერიკაცე-
ბო, ჩემს შვილს? თუ რა ვქნა?

პერაკლესი. შეშხესნი და ვინ შემკრა, მითხარი!
რა სამარცხენოა!

ამფიტრიონი. ეს იცოდე შენს სიყვანებას, და-
ნარჩენი დაივინყე.

პერაკლესი. სიჭუმე მოშველის, გავიგო, რაც მინ-
და?

ამფიტრიონი. ო, ზევს, ხედავ ამ ამბებს პერას
ტახტიდან?

პერაკლესი. როგორ! რამე მომივიდა მისი მტრო-
ბის გამო?

ამფიტრიონი. შეეშვი ქალღმერთს, საკუთარ
უბედურებას მოუბრუნე.

პერაკლესი. [1030] დავიღუბე; რალაც საშინე-
ლების თემას მიზირებ!

ამფიტრიონი. შეხედე აქ შენი შვილების ცხედ-
რებს.

პერაკლესი. ვაიმე, ეს რა საზარელ სანახაობას
გუყურებ უბედურო?

ამფიტრიონი. შენ გქონდა ომი, რომელიც არ
იყო ომი, საკუთარ შვილებთან.

პერაკლესი. რა ომზე ამბობ? ესენი ვინ დახო-
ცა?

ამფიტრიონი. შეხ, შენი მშვილდი და რომელი-
ღაც ღმერთი ხარო ამის მიზეზი.

პერაკლესი. რას ამბობ? რა ვქენი? რა სიავის
მაცნე ხარ, მამა!

ამფიტრიონი. შემოიღი იყავი, ესაა მწარე პა-
სუხი შენი შვილობის.

პერაკლესი. და ჩემი ცოლის მკვლელები მე ვარ?

ამფიტრიონი. ყველაფერი ეს მიხლოდა შენი ნა-
ხელაგია.

პერაკლესი. [1140] ვაი! ოხერის ღრუბელი გა-
დანეფარა.

ამფიტრიონი. ამის გამო დავსტირი შენს ბედს.

³⁵ სტრ. 1080. ტაფოსი - კინძული ლეკვადისა და აკარანის დასავლეთ სანაპიროს შორის.

გაერო
საერთაშორისო
სამართალი

შერაკლესი. და ჩემი სახლი? ჩემი სახლიც მე დაეპყრო?

ამფიტრიონი. არ ვიცი არაფერი იმის გარდა, რომ შენი ცხოვრება შენ დაეპყრო.

შერაკლესი. სად ავიციდე ეს შემოიღობა? სად დავიღუპე?

ამფიტრიონი. შენ ხელებს განიშენდი საკურთხევის ცეცხლზე.

შერაკლესი. ვაიმე! რატომ დავინდე საკუთარი სიცოცხლე, თუკი მე თითონ გავხდი საკუთარი შვილების მკვლელი? არ უნდა გადმოვხტე ახლა რომელიმე ციციბო კლდიდან, ან არ უნდა დავიცე გულში მახელი, რომ გზო ჩადენილისთვის? [1150] არ უნდა დავაგდო კოცონზე ეს სხეული, რომელიც შემოღილი იყო? არ უნდა ავაცილო ასე ჩემს სიცოცხლეს ეს სირცხვილი, რომელიც ახლა მელოდება? მაგრამ ახლა თესვეს ვხედავ, ჩემი სასიცოცხლო სურვილების შეფერხებას, რომელიც მოდის, ჩემი ნათესავი და მეგობარი. მე ახლა უნდა ვიდეგ გამოაშკარავებულ და ჩემმა უძვირფასესმა მეგობარმა უნდა ნახოს სიბილწე, რაც თავს დავანეი საკუთარი შვილების მოკვლით. ვაიმე, რა ექნა? სად ვიპოვო ბოროტების უდაბნო? ავფრინდე თუ მიწაში ჩავძვრე? მოდი, თავს წყვდიადს შევაფარებ (სახეზე სამოსს იფარებს). [1160] რადგან მრცხვენი იმ ბოროტებისა, რაც ჩავიდინე; რაკი მე თავს დავანეი ეს ახალი სისხლი და დანაშაული, არ მინდა, დაუზიანო უტოდველი კაცი.

შემოდის თესვესი და მისი ამაღა.

თესვესი. (ამფიტრიონს) მოვედი სხვებთან ერთად, ახალგაზრდა მეომრები ჩამოვიყვანე ათენის მიწიდან, დავბანაკდით ასპოოსის ნაკადთან; გვინდა, როგორც მეგობრები, ბრძოლაში შევეხილოთ შენს ვაჟკაცს, მოხუცო. ამბავი ჩამოვიდა ერქეთიდების ქალაქში, რომ ლიკოსმა ამ მიწის კვერთხი დაიპყრო და ომი წამოიწყო თევენს წინააღმდეგ. აქ მოვედი, რომ სამაგიერო პატივი მიეცა შერაკლესს, [1170] რომელმაც ქვესენელიდან ამომიყვანა და მიიხსნა. თუ რამ გჭირდება, ჩემი ხელი ან ლაშქარი, მოხუცო, მე აქ ვარ, როგორც მოკავშირე³⁶. (დანიშნავს ცხტერებს) აჰ! რატომღა ცხედრების გროვა იატაკზე? წუთო ძალიან დავაგვიანე? დავაგვიანე და ვერ გავაჩერე ეს ახალი უბედურება? ვინ დახოცა ეს ბავშვები? ვის მუღღებს ეს ეძღა? აჰ! არა, ბავშვებს ომში ვინ გაუშვებდა? ეს აშკარად კიდევ სხვა უბედურებაა, რომელიც მე აღმოვაჩინე.

მომდევნო დიალოგში თესვესის დასმულ შეკითხვებს ამფიტრიონი სიმღერით უპასუხებს.

ამფიტრიონი. ზეთისხილიანი ბოროტების მუღღს ბელო მეფე!

თესვესი. რაში გჭირდება ასეთი საბრალე მომართვა ჩემდამი?

ამფიტრიონი. [1180] ღმერთებმა მწუხარე ტანჯვა მოგივილნეს.

თესვესი. ვისია ეს ბავშვები, რომლებსაც დატირი?

ამფიტრიონი. ჩემი საკუთარი შვილის ბავშვები, ვაი მაგათ! ისაა მამა მათი და ყასაბი მათი, ზედა დახოცვაც გახდება.

თესვესი. ჩუმად, ნუ მკრეხლობ!

ამფიტრიონი. ვისურვებდი, შემძლებოდა.

თესვესი. საშინელებას ამბობ.

ამფიტრიონი. დავიღუპეთ, დავიღუპეთ, დაუსრულდით!

თესვესი. რას ამბობ? რა ჰქნა?

ამფიტრიონი. სიგიჟის შეტევით შეპყრობილს [1190] ასთავიანი ჰიდრის შხამში ამოვლებული სრებით.

თესვესი. ეს ჰერას ნახელავია; ის ვინ წუკმევდრებში, მოხუცო?

ამფიტრიონი. ჩემი შვილი. ჩემი მეომარი შვილი ჩემი მრავალტანჯული შვილი, რომელიც ოდესღაც ღმერთებთან ერთად ფლეგრის ვულზე ებრძოდა გიგანებს და დახოცა ისინი.

თესვესი. აჰ! ვინ ყოფილა ბედით მასაკით დაწყველილი?

ამფიტრიონი. მეორე მოკვდავს ვერ იპოვი, ვინც ასე დაიჩაგრა და ასე დაიტანჯა.

თესვესი. და უბედურს სამოსით რატომ დაუფარავს თავი?

ამფიტრიონი. შენს თვალს ემალება, რცხენი; [1200] მისი ნათესავის მზერამ და ბავშვების სისხლმა დააბნია.

თესვესი. მე თანაგრძნობისთვის მოვედი, მოხსენით საფარი!

ამფიტრიონი. შვილო, გადაიძვრე ეკ სამოსი თვალებიდან, მოიშორე, გამოუწინე შენი სახე მზეს. ძნელი საქმეა, კაცი ცრემლებს რომ მოერიოს. გვედრები, შენს წვერს ვეხები, შენს მუხლებს ვეხები, შენს ხელებს ვეხები. [1210] ცრემლიც მდის ბებერი თვალებიდან. ო ჩემო შვილო! დაიცხრე ლოშის მაგ-

36 სტრ. 1171. თესვესის გამოჩენა არა მხოლოდ კარგადაა მოტივირებული, არამედ მისი სიტყვა შეიცავს ათენელებისთვის კარგად გასაგებ მიწიშენებას: საზღვრად ატიკასა და ბეოტიას შორის, სადაც თესვესმა თავისი ლაშქარი დატოვა, იგი თვლის მდინარე ასპოოსს, მაშინ როცა ბუნებრივი საზღვარი საბერძნეთის ამ მხარეებს შორის გადიოდა უფრო სამხრეთით, კითერონის ქედზე. ევრიკიძე თესვესს ასე იმიტომ ალაპარაკებს, რომ კითერონსა და ასპოოსს შორის განლაგებული იყო პლატელების მხარი, რომლებიც ათენელების მოკავშირეები იყვნენ პელოპონესის ომში და ამის გამო მათ ბუოტიელები დაესხნენ თავს.

37 სტრ. 1178. ...ზეთისხილიანი ბოროტები - გამოცემის მიხედვით, აკროპოლისის კლდოვან მწვერვალზე ქალღმერთმა ათენამ დარბო ზეთისხილის პირველი ხე.

ვარი ხასიათი, მას მიჰყავიარ უნმინდური სისხლის-
ღერის მიმართულებით, გამატეზინებს უბედურე-
ბას უბედურებისთვის!

თესვესი. კმარა! შენ მოვიხმობ, აქ რომ წევხარ
და უბედურებაში ხარ ჩაძირული, გამოუჩინე შენს
მეგობრებს შენი სახე. არ არსებობს ისე ბნელი წყვედი-
ა, რომ დამალოს შენი მწუხარე უიღბლობა! რა-
ტომ ირედე ხელს და მაჩვენებ მკელელობას? გეჩი-
ნია, რომ სიტყვას თუ შეტყვი, მე შენი ცოდვებით
დაუკისვრე! [1220] თუ შენს უბედურებას გაეჩიო-
არკ, მე ცუდი რა მომივა? ერთხელ ხომ ზედს გეწიე
შენთან ერთად! მე ვგულისხმობ იმ დროს, როდეს-
აც შენ მე უცნებელი ამოიყვანე მეგდართა საუფ-
ლადას სიცოცხლის სინათლეში. მსულს ის შეგობა-
რი, რომელსაც უძველესად მადლოებდა; ისეთი მე-
ყოვარი, რომელიც მეგობრის ღვინოში მხიარულია,
მაგრამ ჭირში არ სურს მწუხარების გემით გაცუ-
როს მასთან ერთად. ნამოდექი, გადამძვრე თავზე
გე სამოსი, უბედურო, შემოგვხედე. მოკვდავთაგან
უნც კეთილშობილია, ღმერთების დარტყმებს უძ-
ლებს და არ უაყვებს მათ.

თესვესი ჰერაკლეს სამოსს გადახდის. ჰერაკ-
ლეს ფეხზე დგება.

ჰერაკლესი. თესვეს, ნახე ჩემი ომი ჩემს შვი-
ლებთან?

თესვესი. [1230] მოვისმინე და ახლა ვხედავ, რა
უბედურებასაც გულისხმობ.

ჰერაკლესი. მამ რისთვის გამოუჩინე ჩემი თავი
ჰელოსის?

თესვესი. როგორ თუ რისთვის? შენ, მოკვდავი,
ვერ დასვრი ღმერთებს.

ჰერაკლესი. გაეძევი, უბედურო, ჩემს უნმინ-
დურ სიბოლესს.

თესვესი. მუჩისძიების სული მეგობრიდან შე-
გობარზე არ გადადის.

ჰერაკლესი. ამისთვის გმადლობ; არ ენანობ,
სიკეთე რომ გამიკეთებია შენთვის.

თესვესი. მე კი იმ სიკეთის გამო, რაც შენგან
მიმიღია, თანავიგრძნობ ახლა.

ჰერაკლესი. დიდი თანავგრძნობა მჭირდება ბავ-
შეებს დამოცველს.

თესვესი. ვგლოვობ შენს ახალ უბედურებას.

ჰერაკლესი. სხვა ვინმე გინახავს ამაზე დიდ გა-
საქრში?

თესვესი. [1240] შენი უბედურება ცანდელა ასუ-
ლი.

ჰერაკლესი. ამიტომ მტკიცედ გადავწყვიტე,
მოგვედე.

თესვესი. ნუთუ გგონია, რომ ღმერთები უსმე-
ვენ შენს ამ მუქარას?

ჰერაკლესი. ღმერთი უმოწყალო იყო ჩემ მი-
ნართ, მეც იგივე ვიტყვები ღმერთისთვის.

თესვესი. დადუმდი, ეს ლაპარაკი განატეზინებს
მოკიანებს.

ჰერაკლესი. უბედურებით გადატვირთულია ჩე-
მი ხომალდი, ადგილი არაა ახლის დასამატებლად.

თესვესი. და რას გააკეთებ? სად მიჰყავიარ
მძვინვარებას?

ჰერაკლესი. მოგვედები და საიდანაც მოვედი,
ისევ იქ, ქვესკნელში, დავბრუნდები.

თესვესი. ჩვეულებრივი ადამიანივით ლაპარაკ-
ობ.

ჰერაკლესი. შენი რჩევა კი მწუხარების უნახა-
ვი კაცის სიტყვას ჰგავს.

თესვესი. [1250] აშდენი ჯირის გადამტანი ჰე-
რაკლესი აშობს ამას?

ჰერაკლესი. მაგრამ ასეთის არა, გამძლეობა-
საც ჰქონია საზღვარი.

თესვესი. ესაა მოკვდავთა კეთილისმყოფელი
და დიდი მეგობარი?

ჰერაკლესი. მოკვდავები ვერ მიშველიან, ჰერა-
მბრძანებლობს.

თესვესი. საბერძნეთი არასოდეს არ დაუშვებს,
რომ ასე უაზროდ მოკვდე.

ჰერაკლესი. მამ, ახლა მისმინე, შემძლია,
სიტყვით შევედავო შენს რჩევას; მე აგისანი, რა-
ტომ გახდა ჩემი სიცოცხლე ახლაც და რატომ იყო
ადრეც შეუძლებელი. უპირველეს ყოვლისა, მე ვარ
შვილი კაცისა, რომელმაც სისხლი დაღვარა, დანა-
შაული ჩაიდინა, ხანამ დედაჩემს, ალკმენეს, ცო-
ლად მოიყვანდა, [1260] მოუკლა მას მოთუცი მამა.
რაც საუფუელი მოდგმია არაა სწორად ჩაყრი-
ლი, მთელ შემდეგ თაობებსაც დანაშაულოვანი ცხოვ-
რება ელის. და ზევსმაც, ვინც უნდა იყოს ეს ზევსი,
მე ჩამასახა, როგორც ჰერას მტერი. შენ ნუ ღელავ,
ბერეკატო, რადგან ზევსს კი არა, სწორედ შენ მი-
გიჩნევ ნამდვილ მამად. შენდევ, ძუძუს რომ ყოფ-
დი, საზარელი გველები მომიგზავნა აკვანში ზევ-
სის თანამეცხველდემ, რომ მოვეკალი. ახალგაზრდო-
ბაში ხორცი რომ შევიხა, [1270] უაზრები გმირობა
ჩაეიდინე, რა საჭიროა მოყოლა? რატომ ვილაპარაკ-
ო ლომებზე, სამსხეულიან ციფონებზე ან გაცო-
სებზე, მე რომ დავბოცე? ან იმ მოზე, მე რომ მოვე-
გე ოთხფეხა კენტაურებს? ან როგორ მოვეკალი ჭიდ-
რა, ეს მრავალთავიანი ურჩხული, რომელსაც თავი
იმხვე ნამს მოსდიოდა, როგორც კი მოგვეკეთილ-
მერეც ხომ აუთავილი საცემ ჩაეიდინე და დაეცარუ-
ლე იმით, რომ, ევრიხთესის ბრძანებით, ქვესკნე-
ლიდან მზის სინათლეზე ამოვართიე სამთავიანი
ძაღლი, შადესის კარიბჭის მცველი. და ეს, ოჰ, ესა
ჩემი ბოლო გმირობა! ეს სისხლიანი უბედურება,
რაც ჩაეიდინე და დაეგვირგვინე ჩემი მოდგმის
უბედურობა [1280] საკუთარი შვილების სიკვდილით!
აჰა, მოვედი ბედისწერის ამ ნრტყილამდე! ჩემს საყ-
ვარელ თებუმი ვეღარ ვიცხოვრებ; რომც წარმო-
ვიდგინო, რომ დავრჩე, რომელ ტაძარს ან რომელ



მეგობარს უნდა მივადგე? ჩემს დახვეწილ ბუნდს მეგობრულად გერაინი მივღებ. იქნებ არგოზში ნა-ვიდე? როგორ, როცა გამოქვეყნებული ვარ მშობლი-ური მიწიდან? რომელიმე სხვა ქალაქი არის, რო-მელსაც შეიძლება მივადგო? ყველა ხომ აღმაც-რად შემოიხდავს და აეი სახელს კაცად მცნობს? როგორ უნდა გადავიტყუო მათი მწარე სიტყვები? ხომ იტყვიან: "ეს ზეგის შვილი არ არის, ერთხე-ლაც ცოლ-შვილი რომ [1290] ამოიოვა? ჭირს წაუ-ღია ამ მიწიდან!" ჩემსთანაა კაცისთვის, რომელიც ოდესღაც ბედნიერი ყოფილა, ასეთი ცვლილება აუტანელია. კაცისთვის, რომელიც მუდმივად უბე-დურებაში ყოფილა, ასეთი მავი დღე ვერაფერს შეე-ვლიდა, რადგან უბედულობა ყოველთვის მისი თა-ნამგზავი იყო. ეს, მე მგონია, ერთ მშვენიერ დღეს სწორედ ეს მოხდება: მინა ხმას ამოიღებს და ამიკ-რძალავს მასზე ფეხის დადგმას, ზღვა და ყველა მდინარე მასში შესვლაზე უარს მტყუბს და მე გაე-ხდება იქსონივით, პირველი კაცივით, ვინც ახლო-ბლის სისხლი დაღვარა, რომელიც ბორბალზე მიე-რული ტრიალებს. ეს საუკეთესოა, რომ ვერცერ-თმა ბერძენმა ვერ დაამინახოს, [1300] რომელთა შო-რისაც ბედნიერი ცხოვრება გამიტრიალდა. მაგრ, რა საჭიროა, რომ ვიცოცხლო? რა საზრგებელს მომი-ტანს ჯაზრო, უფროსი სიცოცხლე? იდეკოს ზეუ-სის სახელგანთქმა მუდმივად, დაჰკრას ოლიმპოსის გაპრიანებულ იატაკს ღვთაებრივი დღისტები. რო-გორც იქნა, აისრულა თავისი გულის წაღობი, სა-ბერძნეთის შვილებიდან პირველი კვარცხლბეკიდან ძირს დაიწარება. ვინ უნდა ილოცოს ასეთ ქალ-მერთზე? ქალზე თვალად დარჩა ზეგის და მისი მე-უფლისა ეჭვიანობამ გაანადგურა [1310] საბერძნე-თის კეთილისმყოფელი, რომელსაც არანაირი და-ნაშაული არ ჩაუდენია!

კორინფიოსი. ეს არცერთი სხვა ღმერთის გა-კეთებული არ არის, მხოლოდ ზეგის მუდმივად; სწორად მიმხედარხარ.

თესეუსი. [...] ვერ გაძლევ სხვა რჩევას, უნდა იტანჯო. არ არსებობს ცოცხალი ადამიანი, რომელ-საც უბედურება არ შემთხვევია, ღმერთიც კი, თუ-კი პრეტები სიმართლეს მერჩიან. ნუთუ ერთმა-ნეთზე არ ქორწინდებიან იმ გზით, რასაც კანონი კრძალავს? მიამბს არ სვამენ სამარცხვინო ბორკი-ლებში, უზენაესი ხელისუფლება რომ მოიძიოვნ? ჯერაც ოლიმპოსზე აგრძელებენ ცხოვრებას დაი-მანავეები. [1320] და რაღა უნდა თქვა თავის დასა-ცავად, მენ ხარ მოკვდავი, რომელიც ასე მკაცრად სჯის თავის საკუთარ ცოდვას, მაშინ, როდესაც ღმერთები თავიანთ დანაშაულში ვერანაირ ცოდ-ვას ვერ ხედავენ! დატოვე თებე, რადგან კანონი

ითხოვს ამას, ნამომყვეი მე პალაოს ქალაქში. მე, განგნენდ შენ ბრინჯებისგან, საცხოვრებლად; მოგცემ და მისი ნახევარი, რაც კი მავსა; და მო-ცემ, რასაც მშუქისან მოქალაქეები მათი ორგზო-შვიდი მეილის გადარჩენისთვის³⁸, როდესაც ქო-სიანელი ხარი მოგვალა. მთელ ცეცხვანში მავსს ჩუქარი მინის ნაკვეთები და სახან (გოცხალა ხარ [1330] ხალხს ეცოდინება, რომ შენია. როცა მო-ვდები და პადესში ნახვალ, მთელი ათენის ქალა-ქი შემოგნირავს მხვერპლს და აგიგებს ქვის ქანდა-კებებს⁴⁰. რადგან კეთილშობილურ გვირგვინს და-იდგამენ და სახელს მოიხვეწენ მოქალაქეები მთელ სამარცხეთში, რომ დაეხმარნენ ღირსეულ კაცს. მე მინდა, დაგინარუნო სიკეთე, რადგან შენ გადამარ-ჩინე მე და ახლა კი მეგობრები გვირგვინს. როდესაც ღმერთები პატრის სცემენ ადამიანს, მეგობრე-ბი არ სჭირდება; ღვთის შენეცნა, თუკი იგი იძლე-ვას, საქმარისა.

პერაკლესი. [1340] ვაი! შენ რაც ბრძანე ჩემ უბედურებას ყერ მველია. ჩემდა თავად, მე არ მჯე-რა, რომ ღმერთები უწმიდურ კავშირში არიან; ბო-რი კილევში ჩასილა ამბავიც არასოდეს მიმოიჩენია სარ-მშულოდ. ასევე არაოდეს არ მჯერდა, რომ ერთი ღმერთი შეიძლება მეორის ბატონი იყოს. რადგან ღმერთს, თუ ეს მართლა ღმერთია, არაფერი არ სჭირდება; ესაა პრეტების სამრალიო ზღაპრები. ჯე-მინც, თუკი ამ გასაჭირში ვარ, არ მინდა სახელ-გამიტყუეს და სინათლეს თავად თუ დაეტოვებ, ლა-რად არ ჩამოვალთ; რადგან ვინც გასასცდელა ვერ აიღუფდება, [1350] ის ვერც მტრის ისარს ვერ აღუ-გება ნინ. დიახ, მე უნდა ვიცოცხოლო, მოვდივარ შენს ქალაქში, უსაზღვროდ მაღლობელი ვარ ყველა სა-ჩუქრისთვის. (გრემოს მოიწმენდს) მე გამოვცადე მრავალი უბედურება, ეს ცნობილია. არცერთი არ შევუშინდი და ერთი ცრემლიც არ გადმოვმარდა-თვალადან; ვერც ვიფიქრებდი, რომ ოდესმე ეს მო-მეიდებოდა და ცრემლი დამდინებოდა; მაგრამ ახ-ლა, როგორც ჩენს, ბედისწერის მიხედვით, აიყოს ასე ჩემი მოხუცი მამა, ხედავ, დევნილად მივდივარ და ჩემში საკუთარი შვილების მკვლელობა ხედავ. [1360] დაგრძელები ისინი, ისევ ჩააკვირ სასიკვდილო სამო-და დაღვარე მათთვის ცრემლი. მე კანონი მიკრავ-ლავს ამის გაკეთებას. თავი ჩაუდე თითოეულს დუ-ღის კალთაში, მე უბედურისგან, ჩემგან უნებლიეთ მოკლული დედის ხელები მოვიცი მათი, უბედურ-ერთობა როდესაც მინას მიაბარებ მიცვალებულს, დარჩი ამ ქალაქში, ეს იოლი არ იქნება მტრისთვის, მა-გრამ გაამიჯრე გული და გამოიარე ჩემი ტკივილი. ჩე-მი შვილები! თქვენმა მშობელმა, თვენმა საკუ-თარმა მამამ მოგისპობი სიცოცხლე და თქვენ ვერ ისარგებლეთ ჩემი გამარჯვებებით, ჩემი დაუღალა-

38 სტრ. 1314-1321. თესეუსის ლოგიკა გასაოცრად ემთხვევა „პოპოლიტოსის“ ძირის ლოგიკას (სტრ. 456 და შემდეგ). პოეტებში, რომლებიც ზეგის „უკანონო კორინფელებზე“ საუბრობენ, ეკრიბენ გულისხმობის, უპირველეს ყოვლისა, მოქმედება და შესივლება; ღმერთი, რომელმაც მამა ბორკილებში ჩაასვა, ეს, რა თქმა უნდა, ზეგიაა, რომელიც ასე მოქმედ კრონოსს.

39 სტრ. 1327. ორგზოს შვიდი შვილის გადარჩენისთვის - იგულისხმება შვიდი ათენელი ქალაქი და შვიდი ქალაქი, რომლებიც სიკვდილისგან იხსნა თესეუსმა, როცა ექნოსის დაპირებით მინოტავროსი მოკლა.

40 სტრ. 1324-1335. პერაკლესის ათენში მიწვევა და მისთვის სამიჯრების შეთავაზება სახალუა, რომელიც მითოსში შემოაქვს ევრიპიდეს და რომელიც ბუნებრივად „ჯდება“ მითოლოგიურ ტრადიციას.

უფრო, რომ დამეტოვებინა დიდი [1370] სახელი ფეხქვეშ, სახელოვანი მეგობრობა მაძისგან. მება, უბედურო მუღუღე, ამ ხელს მოგკლა, ცუ- დად გიპასუხა იმ ერთგულებაზე, რომლითაც შენ მას უმანკოდ შეუწახე სარეცელი და ასე მამაცად დაეჭრათხილდი ჩვენს კერას ჩემი სანგრძლივი არ- ყოფნის დროს! ვაი ცოლო და შვილებო, ვაი მე, ვაი ჩემ ბედს, უნდა დაეშორებ ჩემს ცოლ-შვილს! (კოც- ნის) რა მწარე და რა ტკბილია თქვენი კოცნა! რა ტკივილი ახლავს ამ იარაღს! ეს მშვილდ-ისარი! უნ- და ნავიოლ თუ უნდა გადავადგმო? თუ მხარზე გადა- ვიოდე, ყოველთვის შემახსენებს თავს და მეტყვის: [1380] "ჩვენით დახოცე ცოლ-შვილი; ჩვენ ვართ შე- ნი შვილების მკვლელები და შენ ჩვენ გვინახავ!" უნ- და ვატარო ამის შემდეგ? რა ვუპასუხო? არადა, თუ მოვიცილებ ამ იარაღს, საბერძნეთში მოპოვებულ დღებაში ჩემს მეგობრებს, და ჩემი მტრების ხელში ჩავივლებ თავს, ხომ სამარცხვინო სიკვდილი შე- ლს? არა, ისინიც უნდა შევინარუნო და ის უბედუ- რებაც, რაც მათ ახლავს. ერთი სათხოვარი მაქვს, ახავს. ნამომყვეი არგოსში, რომ ამ უბედური იაღ- ლათის ვიღღო მივიღო; მარტო თუ ნავალ, ჩემი შვილების დარდს ვერ გადავიტან და თავს რაღაცას დავმართებ. ო, კადმოსის ძინაზე ყველა თებულო, [1390] თბა მოიკეცეთ და იგლოვებ ჩემთან ერთად; მოდით ჩემი შვილების დაკრძალვაზე და ცრემლი დაღვარეთ ყველა ჩვენგანისთვის, მკვდრებისთვისა და ჩემთვის; რადგან ყველანი დაგიღუპეთ შერას ერ- თა უმოწყალო დარტყმით!

თესვესი. ადექი, უბედურო კაცო! საკმარისი ცრემლები ღვარე.

პერაკლესი. არ შენიძლია ადგომა. გამიშეშდა ფეხები.

თესვესი. დიახ, უბედურება ძლიერებას მოე- რევა.

პერაკლესი. ვაი, ქვა უნდა გავხდე, ჩემი გასა- ქირი რომ დავივიწყო.

თესვესი. შეწყვიტე! მიეცი ხელი დამხმარე მე- გობარს.

პერაკლესი. ფრთხილად, არ მინდა, რომ ამ სის- ხლმა სამოსი დაგისვაროს.

თესვესი. [1400] გაიწმინდე და დარდი ნუ გაქვს, მე არ ველღავ მაგაზე.

პერაკლესი. შვილები რომ დაეკარგე, შენ ახლა შვილად მყავხარ.

თესვესი. კისერზე დამადე ხელი, შენი მეგზური ვიქნები.

პერაკლესი. მეგობრების წყვილი, რომელთა- გან ერთი უბედურების კაცია. აჰ! მოხუცო, ასეთი კაცი უნდა გყავდეს მეგობრად.

ამფიტრიონი. მაგის სამშობლოს სულ საუკე- თესი შვილები ჰყავს!

პერაკლესი. თესვეს, ერთიც მომპარუნე, ერ- თხელ კიდეც ვნახო შვილები.

თესვესი. რატომ? გგონია, რომ სულს მტკივნე- ლაა ზოგის უპოვნე?

პერაკლესი. მინდა, ისევ დავინახო! მამარგის ნახუტებაც მინდა!

ამფიტრიონი. აქ ვარ, ჩემო შვილო; შენი სურ- ვილი ძვირფასია ჩემთვის.

თესვესი. [1410] უკვე დაგავიწყდა, რაც მოგივი- და?

პერაკლესი. ყველაფერი, რაც ადრე გადამიტა- ნია, უფრო იოლი იყო, ვიდრე ეს.

თესვესი. ვინმე რომ გნახოს, ეპლივით რომ ტი- რი, დაგცინებს.

პერაკლესი. მამ, ასე დავეცი შენს თვალში? მგო- ნი, ადრე ასე არ იყო.

თესვესი. დიახაც! გლოვაში ის სახელოვანი პე- რაკლესი აღარ ხარ.

პერაკლესი. შენ თვითონ როგორი იყავი ქვეს- კნელის უბედურებაში?

თესვესი. კიდეც უარესი, ვაჟკაცობის მხრივ ყვე- ლაზე უარესი კაცთაგან.

პერაკლესი. აბა, როგორ მეუბნები, რომ უბე- დურებამ დამაქნინა?

თესვესი. ნაველით!

პერაკლესი. მშვიდობით, მოხუცო მამა!

ამფიტრიონი. მშვიდობით, შვილო!

პერაკლესი. დაკრძალე ბავშვები, როგორც გითხარო.

ამფიტრიონი. მე ვინ დამკრძალავს, შვილო?

პერაკლესი. [1420] მე.

ამფიტრიონი. როდის ჩამიხვალ?

პერაკლესი. შვილებს რომ დაკრძალავ, შემდეგ.

ამფიტრიონი. როგორ?

პერაკლესი. თებუდან ათენში წაგიყვანა. ბავშვე- ბი შინ შეიყვანე, მძიმე მოვალეობაა, ვიცო, მას შემდეგ, რაც დავატყე ჩემი სახლი სამარცხვინო გმირობით, უკან გაეყვები თესვესს პატარა ნავი- ვით, სრულიად განადგურებული. ვისაც სიმდიდრე და ძალაუფლება ურჩევნია კარგი მეგობრების ყო- ლას, არასწორად აზროვნებს.

კადის თესვესთან ერთად.

კორფაიონი. მსუხარბითა და მწარე ცრემლე- ბით მოუწყვებით ჩვენს გზას, დაეკარგეთ ჩვენი უდი- დესი მეგობარი.

ქერილ ჩერჩილი

შვიდი ებრაელი ბავშვი

პიესა ღამასთვის

ინგლისურიდან თარგმნა გუგა მგელაძე



სცენაზე ბავშვები არ ჩნდებიან. მთხრობელები მხოლოდ უფროსები არიან, თავად ამ ბავშვების მშობლები ან თუ გნებავთ, მათი ნათესავები. ხაზები შეიძლება თქვენი სურვილის მიხედვით გადაუნაწილოთ პერსონაჟებს. ყოველ მკირე სცენაში თითოეული პერსონაჟი დროისა და ბავშვების მსგავსად იცვლება. ამიტომაც, რამდენიმე მსახიობმა შეიძლება შეასრულოს მათი როლი.

1.

უთხარი, რომ ეს თამაშია
უთხარი საქმე სერიოზულადაა
მაგრამ არ შეეშინდეს
არ უთხრა, რომ მას მოკლავენ
უთხარი, რომ დუმილი აუცილებელია
უთხარი, რომ ნამცხვარს მიიღებს თუ კარგად მოიქცევა
უთხარი ისე მოიკუნტოს, თითქოს საწოლშია,
მაგრამ ნუ იმღერებს.
უთხარი გარეთ გასვლა არ შეიძლება
უთხარი ყვირილის გაგონების შემთხვევაშიც არ გამოვიდეს
ნუ შეაშინებ
უთხარი, მაშინაც არ გამოვიდეს, თუ დიდი ხნის განმავლობაში ვერაფერს გაიგონებს
უთხარი, რომ მოვალე და ვიპოვი.

უთხარი, რომ ჩვენი სულ აქ ექნება
უთხარი რამე კაცების შესახებ
უთხარი, რომ თამაშის დროს ცუდები არიან
უთხარი, რომ ეს უბრალოდ ზღაპარია
უთხარი, რომ ისინი ნაუღენ
უთხარი, რომ თუ ხმას არ ამოიღებს ისინი ნაუღენ

მაგიის მშვედობით
ოღონდ ნუ იმღერებს.

2.


უთხარი, რომ ეს ჩემი, ბებიაჩემის და მისი ბიძის ფოტოა.
უთხარი, რომ ბიძები მოკვდნენ
ნუ ეტყვი, რომ ისინი მოკლეს
უთხარი, რომ ისინი მოკლეს
არ შეაშინო
უთხარი, რომ ტყვიანი ბეზო ყავდა
არ უთხრა, რა გაუკეთეს
უთხარი, რომ ბებო მამაცი იყო
უთხარი, რომ სწორედ ბებო მასწავლა ნამცხვრის კეთება
არ უთხრა, რა გაუკეთეს
რამე მოიგონე.
გაიზარდოს და მერე უამბე.
მოუყვე ებრაელთა ძველი ხალხის შესახებ

არ მოუყვებ
უთხარი, რომ უკვე ყველაფერი დასრულდა
უთხარი, რომ ისევ არსებობენ ადამიანები, რომ-
ლებსაც ებრაელები სძულთ
უთხარი, რომ ისინიც არსებობენ, ვისაც ებრაე-
ლები უყვარს
ნუ შეითხვებ, თვლის თუ არა თავს ებრაელად
გაიზარდოს და დანარჩენზე მერე უამბე
უთხარი რამდენი, როცა გაიზრდება
უთხარი, რომ ეს ყველაფერი მის დაბადებამდე
შობდა და უკვე საფრთხეში აღარაა
არ უთხრა, რომ საფრთხე ისევ არსებობს
უთხარი, რომ გვიყვარს
უთხარი, რომ მკვდარია თუ ცოცხალია, ოჯახს
შანიც ეყვარება.
უთხარი, რომ ბებო მისით იამყებდა.

3. ნუ ეტყვი, რომ სამუდამოდ მიედივართ
უთხარი, რომ შეუძლია მისწეროს მეგობრებს
და ისიც უთხარი, რომ ისინი საგარეუოდ მოვლენ
უთხარი, რომ იქ შხვა
უთხარი, რომ სახლში ვბრუნდებით
უთხარი, რომ ეს მიწა ღმერთმა მოგვცა
არაფერი უთხრა მისი რელიგიის შესახებ
უთხარი, რომ ბაბუები, ბაბუების მამები და იმა-
თი მამები მანდ ცხოვრობდნენ
არ უთხრა, რომ განოაგდეს
უთხარი, რა თქმა უნდა, უთხარი, რომ ყველა
განოგვეყარეს
სამშობლო გველოდება
არ უთხრა, რომ ამით არ ეკუთვნის
უთხარი, რომ რასაკვირველია, აქაურობა ძალი-
ან მოაონს, თუმცა იქ უფრო მეტად მოეწონება

უთხარი, რომ ეს თავგადასავალია
უთხარი, რომ არაფერ არ აწყენინებს
უთხარი, რომ ახალი მეგობრები გეოლება
უთხარი, რომ შეუძლია თავისი სათანამშრომ-
თან შაიდოს
არ უთხრა, რომ შეუძლია საკუთარი სათანამშრო-
მების წაღება
უთხარი, რომ განსაკუთრებული გოგოა
უამბე იერუსალიმის შესახებ

4 ნუ ეტყვი, მათ შესახებ
რამე უთხარი
უთხარი, რომ ბედუინები არიან და მოგზაურო-
ბენ
მოუყვები აქლემების და უდაბნოს შესახებ
უთხარი, კარგებში რომ ცხოვრობენ
უთხარი, რომ ეს მათი სახლი არ იყო
ნუ ეტყვი სახლის შესახებ, სახლს ნუ უხსენებ,
უთხარი, რომ მიდიან
ნუ ეტყვი, რომ მათ ეს ადგილი არ მოაწონთ
უთხარი ფრთხილად იყოს
არ უთხრა თუ ვინ ცხოვრობდა ამ სახლში
არა, არ უთხრა, რომ მისი პაპა ცხოვრობდა ამ
სახლში
არ უთხრა, რომ მის საძინებელში არაბებს ეძი-
ნათ.
უთხარი, მათ უხეზად არ მოეცქეს
უთხარი, ნუ ეშინია
არ უთხრა, რომ უფლება არა აქვს სხვა ბავშვებ-
თან ითამაშოს
არ უთხრა, რომ ბავშვებს სახლში ვერ აიყვანს.
უთხარი, რომ მათ ძალიან ბევრი მეგობარი და
ოჯახები ჰყავთ.



უთხარი, რომ ძალიან შორს მათ საკუთარი მიწები აქვთ კიდევ ერთხელ უთხარი, რომ ეს ჩვენი დაპირებული მიწაა.

არ უთხრა, რომ იმათი აზრით, ამ მიწებზე არავის უცხოვრია

არ უთხრა, რომ არ მოვიდოდი, რომ მცოდნოდა ამის შესახებ

უთხარი, რომ შეგვიძლია გავიზიაროთ.

ნუ ეტყვი.

5

უთხარი, რომ მოვიგეთ

უთხარი, რომ მისი ძმა გმირია

უთხარი, რამხელა არმია ჰყავთ

უთხარი, რომ უკან დაგვახეივით

უთხარი, რომ მეტროსივები ვართ

უთხარი, რომ უკვე ახალი მიწა გვაქვს

6

ნუ ეტყვი

ნუ ეტყვი საცურაო აუზთან დაკავშირებული პრობლემის შესახებ

უთხარი, რომ ეს ჩვენი წყალია, უფლება გვაქვს

უთხარი, რომ ეს წყალი მათი მიწებზე არის

არაფერი უთხრა წყლის შესახებ.

არაფერი უთხრა ბუღდოზურის შესახებ

ნუ ეტყვი, რომ ბუღდოზურს არ შეხედოს

ნუ ეტყვი, რომ ბუღდოზური სახლს მიწასთან ასწორებს

უთხარი, რომ ეს სამშენებლო მოედანია

არაფერი უთხრა ბუღდოზურების შესახებ

არაფერი უთხრა გამშვებ პუნქტთან არსებული რიგების შესახებ

უთხარი, რომ იქ ძალიან ძალე მივაღო

არაფერი უთხრა ისეთი, რასაც თავად არ გკითხავს

ნუ ეტყვი, რომ ბიჭი მოკლეს

არაფერი უთხრა

უთხარი, რომ უდაბნოში ახალი ფერმა გვექნება

არაფერი უთხრა ზეთისხილის ხეების შესახებ

უთხარი, რომ უდაბნოში ახალ ქალაქებს ავაშენებთ

არ უთხრა, ქვეს რომ გვესვრიან

უთხარი რომ უსუსურები არიან ტანების წინააღმდეგ

არ უთხრა.

ნუ ეტყვი, რომ კაფეებში ბომბები დამონტაჟდეს.

უთხარი, რომ კაფეებში ბომბები დამონტაჟდეს

უთხარი ფრთხილად იყოს

ნუ შეაშინებ.

უთხარი, რომ კედელი გეჭირდება უსაფრთხოებისთვის

უთხარი, რომ ზღვაში გაყვანას გვიპირებენ

უთხარი, რომ არ გვიპირებენ

უთხარი, რომ ბევრი მათგანი უკვე მოკალით

არ უთხრა

უთხარი

უთხარი, რომ ძლიერები ვართ

უთხარი, რომ უფლება გვაქვს

უთხარი, რომ იმათ არაფერი ესმით, ძალა ბის გარდა

უთხარი, რომ მშვიდობა გვსურს

უთხარი, რომ ცურვას ვაპირებთ.

7

უთხარი, რომ ახალ ამბებს არ უნდა უყუროს უთხარი, რომ შეუძლია მულტფილმები ნახოს უთხარი, რომ შეუძლია გვიარბამდე იღოს დ „ფრენდს“ უყუროს.

უთხარი, რომ რაკეტებით აპირებენ თავდასხმას შეაშინო

უთხარი, რომ ჩვენიდან მხოლოდ რამდენიმე მოკლეს

უთხარი, რომ ჯარი უკვე მოვიდა ჩვენს დასაცვადად

არ უთხრა, რომ მისმა ბიძაშვილმა უარი თქვა ჯარში განცევაზე

არ უთხრა, რამდენი მათგანი მოკლეს

უთხარი, რომ შამასის მეტროსივები მკვდრები არიან

უთხარი, რომ ისინი ტერორისტები იყვნენ

უთხარი, რომ ნაგვები არიან

არა

არაფერი უთხრა მკვდარი გოგონების ოჯახის შესახებ

უთხარი, რომ არ გჯერა რასაც ტელევიზორზე ხედავ

უთხარი, რომ ჩვენ შემთხვევით მოკალით ბავშვები

არაფერი მოუყვებ არმიის შესახებ

მოუყვებ, მოუყვებ არმიის შესახებ, უთხარი, რომ არმით უნდა იამაყო.

მოუყვებ მკვდარი გოგონების ოჯახებზე, შო, მათი სახელებიც თქვი, რატომაც არა. უკვე მთელს მსოფლიომ იცის. მოუყვებ, რომ აქვე მკვდარი ბავშვებიც არიან. ნახა უკვე ბავშვები? უთხარი, არაფრის შერცხვებს. უთხარი, მკვლელობა თავად რწმინდისაა.

მათ საკუთარი ბავშვების სიკვდილი სურდათ, სახსიხსან სიბრალეული რომ მიეღოთ. უთხარი, რომ არ შეცოდება ისინი. უთხარი, თავადაც წაშვიტალებს, უთხარი, რომ სიბრალე ჩვენ უნდა გვხვდეს.

რალეობდეთ ასევე. უთხარი, რომ მკაცრები ვართ უთხარი, რომ ეს საომარი წილია, უთხარი, რომ იქამდე არ შევწყვეტთ მათ დახოცვას, ვიდრე უსაფრთხოად არ ვგრძნობთ თავს, უთხარი, როგორ გამეცინა მკვდარი პოლიციელების დანაშაულისა, უთხარი, რომ ვეცხოველები უკვე ნანგრევებში ცხოვრობენ, უთხარი, რომ შეიძლება, თუ ჩაქაძალებოდა, უბრალოდ მსოფლიოს შევზიზღებოთ, უთხარი, რომ ჩვენა თუ სამყაროს შევზიზღებოთ, უთხარი, რომ ჩვენი უკეთ შეგვიძლია სიძულვილი, უთხარი, რომ რჩეული ეგა ვართ, უთხარი, რა ვიგრძენთ იმათი დაიპყრობილი ბავშვის დანაშაულისა. უთხარი, რომ მიხაროდა ეგ რომ არ იყო მკვდარი.

არა, ეგ არ უთხრა.

უთხარი, რომ გვიყვარს.

ნუ შეაშინებ.

ნეგმარ მამანაშვილი

კორონავირუსობის ფაზს
მეტეწაუფერიდან

ერთ მივინიერ დღეს,
ყვლა ადამიანი რომ ამოწყდეს -
დაწყდებათ გული
ან წყაროს,
ან ზღს,
ან ბუნაჭოტს?

რაცაღამ შემაწუხა ძილში
გამღვიძა
ზღვრით სანერ მაგიდაზე
დაპარებული სანათებელი
ჩაქოშრე:

ზიზა
ზეიქს
საფარული

კორონავირუსობის ფაზს
ჩქეს "ტრამალის მგელი"-დან

რამდენი ხანია არ მიცეკვია...

კარგი მოცეკვავე არასოდეს ცყოფილვარ -
პლატიკურობა მაკლდა,
ბარამ მელოდისა და რიტმს ვგრინობდი
და სიამოვნებით ვეცეკვებოდი ხოლმე
ნელ ცეკვება ახალგაზრდა
და არც ისე ახალგაზრდა ქალბატონებს.


როდის ვიცეკვე ბოლოს?
ალარც კი მახსოვს,
ალბათ ასე ოცდახუთი წლის წინ.

ნეთხედი საუკუნეა არ მიცეკვია...

არადა, მიყვარდა ცეკვა, მინდოდა
ვარგი მოცეკვავე გაემხდარიყავი,
საბეშო ბალის დროიდან,
ვარანცოვზე, "მოდელების სახლის"
შეამე სართულზე რომ იყო მონყობილი,
აღდაც ყოველ დღე, თითო საათი,
წრეში წყვილ-წყვილად ჩამდგარებს
ქართულს გვაცეკვებდნენ
4-მ წლის ბავშვებს.

გერა, გერ გაეხდი კარგი მოცეკვავე.

მერე რა?
ბაინც ვიცეკვებ -





როგორც შემძლია, ისე ვიცეკვებ,
მით უფრო - ახლა კარგი დროა
საცეკვაოდ, ზედგამოჭრილი დროა -
ეპიდემია:
მთელი დღეები სახლში ვზივარ -

აი, ახლა ავდგები
და დაეუვლი!

განჯინა

სადღური სიტყვა - "განჯინა"?

მახსოვს ჩვენი განჯინა - პატარა მღვიმე,
ძველი, პატარა სახლის, პატარა ოთახის
კედელში.

ლოგინის რამე-რუმეს ინახავდა
განჯინაში დედა -
ლეიბებს, საბნებს, ბალიშებს
და მართლა მღვიმესავით მყუდრო იყო
განჯინა, მყუდრო და თბილი.

და მე მიყვარდა ეს სიმყუდროვე -
მიყვარდა განჯინაში შენალვა
და კოტრაილი...
მთლად არ ბნელოდა -
ხის თხელი კარები მჭიდროდ არ იხურებოდა
და ღრიჭობიდან ყოველთვის აღწევდნენ
შუქის ზოლები...

განჯინა...
სიტყვადა დარჩა...
მყუდრო და თბილი სიტყვა -
"განჯინა",
რომლის წარმომავლობის გარკვევასაც
ვცდილობ ახლა...

რისთვის ვცდილობ?...

სალამოს ბალი კიდეც სხვაა,
შელამებულზე,
ლამპიონების დაბინდულ-მოყვითალო შუქში...

ჩამოვჯექი.
გავაბოლე...
და ვხედავ 90-ს მიტანებულ ნაცნობ პროფესორს -
ვარჯიშობს, "დარბის", მორბენალივით ხელები
მკლავებში მოუხრია და ფეხებს მიაჩოჩიალებს,
მიბარბაცებს, მთვრალივით მიბარბაცებს -
გეგონება, აი, ახლა წაიქცევიაო...
ასე, აბარბაცდება და ჩამობარბაცდება
ბალის მოასფალტებულ ბილიკებზე...
სიკვდილს გაურბის...

ხასიათი გამიფუჭდა.
ამ დროს ორი პატარა ბიჭის კივილი გაისმა:
"აბრაკადაბრა, აბრაკადაბრა!"

(ნეტავ, ვინ ახსნავს ეს სიტყვა?),
ერთ-ერთი ინტერპრეტირებს კიდევ...
"აბრაკა დაბრაკა, აბრაკა დაბრაკა"
და ასე, ძმაბიჭურად ხელიხელგადახვეული,
დადიან აქეთ-იქით...

ებრუნდები სახლში და ლიფტთან გამოკრულ
განცხადებას ვამჩნევ:
"გარდაიცვალა ამირან ებრალიძე"...
ახალგაზრდებს არ ახსოვთ - ჩვენს დროს
დიდად პოპულარული საესტრადო
მომღერალი და საყვირზე დამკვრელი,
ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლ
"დიელოს" ლიდერიო... ერთი "ორერა" იყო
და მეორე - "დიელო"...

და მართლაც -
აბრაკა დაბრაკა, აბრაკა დაბრაკა,
აბრაკა დაბრაკა, აბრაკა დაბრაკა

უცნაური გრძნობა მიპყრობს,
როცა გარდაცვლილი მეგობრის
ფეისბუქ-გვერდზე მოვხედე ხოლმე...
ულოცავენ დაბადების დღეს...
გეგონება, ამ ვირტუალურ სივრცეში
ისევე გრძელდებოდეს მისი არსებობა...

უცნაური გრძნობა - რალაც საშუალო
შეცხუნებასა და შეძრწუნებას შორის:
ვხედავ, რომ სიკვდილამდე ორი-სამი
დღით ადრე დაუპოსტია რალაც,
რაც არც ჯანმრთელობას ეხება,
არც სწრაფწარმავლობას,
არც სიკვდილის შიშს -
პოლიტიკაზე ან საპორტზე პოსტი,
ან ნანახ ფილმზე, ან რამე ასეთზე...

ეტყობა, უნდა გაითავისო,
რომ სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა ხარ:
ბავშვობაში ერთი ხარ,
სიყმაწვილეში უკვე სხვა ადამიანი ხარ,
ახალგაზრდობაში კიდევ - სულ სხვა,
შუალეგში, სიბერის პირზე...

ასე მგონია, ამის გათავისებას თუ შევძლებ -
გარდაცვლილთა ფეისბუქ-გვერდებსაც
უფრო მშვიდად აღვიქვამ...

მაგრამ მე მაინც გავაუქმებ ჩემს გვერდს
სიკვდილის წინ,
ან თუ ვერ მოვასწარი -
ა ბატონო, დამბარებია -
გააუქმეთ!..

კატას ტყუილად ვარქმევთ სახელს -
კატას სახელი არ ეყრება...
და მაინც ვარქმევთ

ლევის დაწერა მომინდა

ჯივარ Wendy"-ის წინ
და ვნრუპავ ცივ ლატეს...
რითა ფოტოთა -
წოთხოვს "პილატეს"...

ლუჩვა პილატეს დროს
ხად იყო ლატე?
ჰნა, რძე კი იყო -
"რძე უყვართ კატებს"...

არ არის მართალი -
რძე კატებს არ უყვართ...
აჰ, ფისუნია
გზას მიშით გაუყვა

და კოდეც, ბაც და,
გაფლიტა მანქანამ -
არც დაამუხრუჭა
და არც დააბანა...

მუზონელი მაგიდიდან
წაწოტა გოგონა,
წივარდა გაჭყლეტილს,
ტროტუარზე ამოიყვანა,
დაასვენა ხესთან,
დახვდა და უკან მობრუნდა -
მკედარია ფისუნიაო...

და გოგონამ გააგრძელა
აუბარი მეორე გოგონასთან,
რომელიც არ წამოიხტარა,
იჯდა და გააჟურება ჩემსავე...

ცხელი ივლისია,
ცხელი საღამოა,
მაგრამ ეს ნიაფი
ერთობ საამოა

და ტროტუარებზე
მომარბენ აბალგაზრდები -
თბილისისთვის ახალი -
მოტორიანი "სამაკატკები",
რსაც ინგლისურად თურმე
სკუტერი ჰქვია...

რომან თოლორდავას
ჟონივარდას ფოტოპორტრეტის
აღიღერებისას

რა იქნებოდა, ეს არსება
რომ არ არსებულებო?

არც არაფერი...
მაგრამ რომ არსებობს -
მევენეირია...

ჩემს ჩემნაირ მეგობარს

ლოთიანად, ერთი შითხარი, ძმავ, -

ღვინის სმისას ასე არაა? -
ერთ ბოთლს რომ გაცდები -
მეტი და მეტი გინდა,
ვიდრე "თიში" დაგეშართება...

ლოთიანად, ესეც შითხარი, ძმავ -

სიცოცხლეც ასე არაა? -
ნმ-ს რომ გაცდები -
მეტი და მეტი გინდა,
ვიდრე "თიში" დაგეშართება...

უბრალოდ
კოდეც
გინდა

ლოთიანად

აგვისტოა: გონიოში
დროა საარბიონო,
შიშველ-ტიტველ გარემოში,
პლაჟზე მტრედი სეირნობს.

დასეირნობს თეთრი მტრედი,
თან დაეძებს ნამცეცებს -
ასეთია ჩემი ბედიც,
მეც ნამცეცებს დავეძებ...

დავეძებ და არც კი ვიცი -
რად მინდა ან რა მინდა?...
მტრედმა იცის, აკენა და
თეთრი
მტრედი
გაფრინდა...



ბექა ახალაია

სანყობი

აშენების თარიღი: 1983 წ.

საშენი მასალა: წითელი აგური

გადასახური მასალა: სინკარი, აზბესტ-ცემენტის შიფერი

ფართობი: 205 კვ. მ.

კედლების სიმაღლე: 6 მ.

ბოლიანი სიმაღლე: 8 მ.

დანიშნულება: მინერალური სასუქების შესანახი სივრცე

ექსპლუატაციის პერიოდი: 1983-1990 წ. წ.

შენი გვარი მშენებელია, სულ აშენებდით,
შენ და შენს ძმებს სისხლში გაქვთ შენება,
ოდესღაც აშენებდით ციხესიმაგრეებს & თავშესაფრებს,
ერთხელ სოფლისთვის გალაგანიც კი შემოგიტყამთ.

ჩემი გვარი კი მწგრეველია, ჩვენ სულ რაღაცას ვანგრევდით,
როგორც წესი, იმას ვანგრევდით, რასაც თქვენ აშენებდით,
თუ რატომ ვანგრევდით, არ გვქონდა წარმოდგენა,
მაგრამ ინსტიქტით ვგრძნობდით, რომ უნდა გვენგერია.
ეს სისხლში გვაქვს შე და ჩემს ძმებს.

ასე ვცხოვრობთ, უკვე რამდენი საუკუნეა -
ფართო გზის გაღმა-გამოღმა - მშენებლები და მწგრეველები.
ბავშვობაში შენ და შენი ძმები სახლებს რომ აგებდით,
შე და ჩემი ძმები სულ ვცდილობდით, ისინი დაგვენგერია.
მასსოვს, ერთხელ წნელის სახლი ეზოს შიგნით ააშენეთ,
რადგან იცოდით, რომ ეზოში გერ შემოვბედავდით,
ვიდექით და ისე ვუყურებდით,
როგორც კატა ძეხვს ასცქერის, რომელსაც ვერაფრით შესწვდება.

ბოლოს, როცა ყველა იმედი გადაგვენურა,
წალდის ტარს თოკი გამოაბა ჩემმა უფროსმა ძმამ,
და ეზოში გადაისროლა, წალდი სახლს გამოედო,
გამოვქაჩეთ და წნელის სახლი ნაწილებად დაიშალა.
ანის მწახველმა ბაბუაჩვენმა სამზადში შეგვიყვანა,
სხვენიდან წერაქვები ჩამოიღო, დაგვირიგა და გვითხრა:
"- მწგრეველები ხართ!" -

და იმ შუალაშით ბედნიერი გარდაიცვალა,
მიხვდა, რომ ტოვებდა გვარის ღირსეულ გამგრძელებებს.

მას შემდეგ ყველაფერს წერაქვით მივსდგებოდით:
მწყრის თუ ჭიანჭველის ბუდეებს, მარჯის თუ მელის სოროებს...
შენ და შენს ძმებს კისერზე შურდულები გეკიდათ,
ჩვენ კი დავდიოდით მხარზე გადებული წერაქვებით...

აი, ეს სანყობი მამაშენმა და შენმა ბიძებმა ააშენეს,
და მერე, როცა სასუქი აღარ მოჰქონდათ,
და ამ შენობის არსებობაც ყველას მიავიწყდა,
ღობე გადავნიეთ და შემოვარტყით,
რადგან ჩვენთან ახლოს იდგა, გზის გაღმა.

თქვენ კი შენუხდით, რადგან იცოდით, კარგს არაფერს
მოასწავებდა ეს ყველაფერი, მართლებიც იყავით,
სოფლის ხელმძღვანელობაც ჩააყენეთ საქმის კურსში,
მაგრამ ამ შენობისთვის არავის ეცალა.
მას შემდეგ ყურები ყოველდღე აქეთ გქონდათ,
როდის დავარტყამდით პირველ წერაქვს და პირველ უროს.



თუმცა კარგაბანს მოგიზნდათ ლოდინი,
მანაჩეშია საწყობი ბოსლად გადგაქეთა,
მეზობის ერთ კუთხეში წნული ბაგა და ზღავი მოაწყო,
და ზედიზედ ძროხა თავს ისე გრძნობდა,
როგორც დიდ სასახლეში პატარა ოჯახი.

სულ მალე ძროხები მიყოლებით დაიხოცნენ,
როგორც აღმოჩნდა, აზოტით, ფოსფორით და კალიუმით
გაფუთილი მთავი კედლებს ლოკავდნენ და ინანებოდნენ.

და ერთ დღილით,
გაბრაზებულმა მამაქემმა პირველი წერაწვი დაარტყა,
და თუ ადრე ჩემი გვარი უბრალოდ ანგრეცდა,
ამჟერად გაჩნდა საჭირო მიზანი:
იმ ჯერებით სახლი უნდა აეშენებინა.

იქიდან დაიწყო საბედისწერო ნგრევა და შენება,
რაც საწყობს აკლდებოდა, ის ახალ კედლებს ემატებოდა,
მანამ, სანამ, ზაფხულის ერთ შუადღეს,
ჩამოვარდნილმა სინკარმა მამა ქვეშ არ მოიყოლა.
გადარჩა, მაგრამ დახეიბრდა სამუდამოდ.

შემდეგ ჩემი უფროსი ძმის ჯერი დადგა: ის ვერ გადარჩა,
და დაემარხეთ სასაფლაოს იმ ნაწილში,
სადაც ნგრევისას დაღუპული ჩემი წინაპრები მარხია.
დიდი მნგრევლების საფლავებზე, ჯვრების ნაცვალად,
წერაქვის ფორმის ქვებით აღმართული.
სასაფლაოს შესასვლელს კი დიდი ასოებით აწერია:
"გნების სიმძაფრე ნგრევანია და არა - შენებაში!"

ყოველ აღდგომას, როცა საფლავებზე თქვენ კვერცხებს აგორებთ,
ჩვენ მიგვაქვს აფურები, და ბოლოს დამარხული
მკვდრების საფლავებთან მუხლებზე ეიმტვრევთ.
მათ ასე ვულოცავთ დღესასწაულს.

ამ საწყობმა შენი ერთ-ერთი ბიძაც იმსხვერპლა,
ოღონდ, ჩემი ძმისგან განსხვავებით, ბიძაშენი აშენებას შეეშირა,
მთელი თქვესმეტი წელი გავიდა მისი სიკვდილიდან,
იმ წელს მე და შენ დავიბადეთ სამი დღის შუალედით -
ჯერ მე და მერე შენ.

დღეა იყო ჩემი ძმის ორმოცი,
მთელი სოფელი მოვიდა, შენი ოჯახი კი არ მოსულა.
ბგალიდან უკვე ნგრევა შეიძლება, ამიტომ, დილაუთენია,
ბაბა კედელზე მუშტის ბრახუნით გაგვალვიძებს,
და მე და ჩემი შუათანა ძმა წაღლებს და წერაქვებს
მხარზე გავიდებთ და ეზოს კიდისკენ გავემართებით.

ამ ორმოცი დღის მანძილზე ხეებს ფოთლები გაცვიფდათ,
შენი სახლიდან უკვე კარგად ჩანს ყველაფერი,
ამიტომ, ვიცო, მთელი ოჯახი, მოზრდილ დეერფანში,
ხის ტანტზე დასვამთ ბრმა ბუბიას, ალედს წამოაფარებთ,
წერე მოაჯირს დაეცდნობით ხმის ამოუღებლად,
და შუმოდგომის ახლადამოსულ მზეს მიაშტერდებით,
რომ შხერა დაგებინდოთ და ვეღარ დაინახოთ,
როგორ სავაქცევთ მე და ჩემი ძმა საწყობის ბოლო კედელს.



მდინარე

სათავე:

წითელი მთა

(40°50'01" ჩ. გ.

42°49'12" ა. გ.)

შესართავი:

ზურმუხტის ზღვა

(39°17'11" ჩ. გ.

49°25'40" ა. გ.)

შესართავის სიმაღლე: - 27.5 მ

სიგრძე: 1615 კმ

აუზის ფართობი: 198 000 კმ

წყლის ხარჯი (საშ.): 453 მ³/წმ

*

ოთხ სხვადასხვა ქვეყანაში მიედინები,
და ოთხივეგან სხვადასხვა სახელს გეძახიან,
შენი ნამდვილი სახელი კი არაფერია არ იცის,
ისევე, როგორც - ჩემი ნამდვილი სახელი.


ოდესღაც შენს სათავესთან, ერთ მზიან შუადღეს,
ორსულ ქალს ფეხი დაუცდა ხაფხიან ქვაზე და
მორევში ჩაეარდა... არც დაფიქრებულხარ,
ისე გააქანე ქვევითვე დიდი სისწრაფით.

იქ, სადაც ივსება და სადაც იწყება პირველი დასახლება,
წყალზე მოტივტივე ქალი რომ შეამჩნიეს,
მთელი სოფელი შევარდა საშეულად,
მაგრამ ვერაფერს დაენია, არ გაჩერებულან,
ზოგი წყლით და ზოგი ნაპირ-ნაპირ დაედევნა.

შემდეგ იყო ერთი დაბა, დაბის მცხოვრებლებიც
სოფლებებს შეუერთდნენ, თუმცა მათაც ვერაფერი...
შემდეგ - პატარა ქალაქი, შემდეგ კი - დიდი ქალაქი,
ქალაქელებიც, სხვებთან ერთად, ამაოდ მისდევდნენ.
და ასე, მთელი ქვეყანა, კვირების მანძილზე,
მისდევდა წითელკაბიანი და წითელთმიანი
ქალის ცხედარს, და სდიეს მეზობელი ქვეყნის საზღვრამდე.

მეზობელ, ანუ მეორე ქვეყანაშიც იგივე განმეორდა,
ამაოდ სდიეს მესამე ქვეყნის საზღვრამდე,
მესამე ქვეყანაშიც ზუსტად იგივე, რაც წინა ქვეყნებში,
ხოლო მეოთხე ქვეყანაში, ამაოდ დევნის შემდეგ,
ზუსტად იქ, სადაც იწყება შენი დელტა,
და ზურმუხტის ზღვის ხმაური ისმის მკაფიოდ,
ბაღიჩის მრეცხავმა ქალებმა ცხედარი დაიჭირეს.

ამოზრცულ მუცელს რომ დააცქერდნენ,
ეგონათ, მისი სხეული წყლით იყო გაბერილი,
მაგრამ, როცა მუცლის შიგნით რაღაც ამოძრავდა,
მიზვდნენ, საქმე რაშიც იყო და იმასაც,
რომ დაყოვნება არ შეიძლებოდა.
ყველაზე ბნელმა და ყოჩაღმა დედაბერმა
მინისტარის ქლიავისფერი ნატყბი იმოვა,
და ცხედარს მუცელზე ირიბად გადაუსვა...
იქიდან ბიჭი ამოიყვანეს, რომელიც მე ვიყავი.



*

პირველ ქვეყანაში, შენს სათავესთან, სწორედ იმ ადგილას,
სადაც დედაჩემს ოდესღაც ფეხები დაუცურდა,
მე ნიღვას ქოხი, და მყავს ნახირო, თავს ვირჩენ მწყენსობით.
ჯოჯულ ადამიანს დიდ ლოღუე უჯდები, ძალს გვერდით მოვისვამ,
და მინისტრის ქლიავისფერი ნატეხებით,
ჩვენს ტყეში, თვალის გახედენაზე გადაშლილი ღრუბლების მიღმა,
ჩენი ოთხივე სამშობლოს მიღმა, დედაჩემის
საფლავის მიღმა, ზურმუხტის ზღვაში ჩამავალ მზეს
გავცქერო შე - ამ ოთხი ქვეყნის ოთხი მოქალაქე,
უფრო სწორედ - შენი ნაპირების უცვლელი მოქალაქე.

გახშობის შემდეგ შენი სათავედან ამოდის თეთრი ქალი,
და ჰაზუე ჯვარს ვინერ იქვე, ძველ სალოცავეში,
მერე კი ვიყოფთ სარეცელს და ის უცებ ორსულდება,
და არაფად ვესება, ევსება, ევსება მუცელი.
გამთენიისკენ უკვე ანუშებს ტკივილები,
ახლოს არ მიკარებს, დაუხმარებლად მშობიარობა.
მე კი ჩვილს ებან ძროხის აბლად გამონგელილ რძეში.

სანამ თავს ეგრძნობ უჩვეულოდ და ვერცხვი მამობას,
ბლი, ბავშვთან ერთად, ქონიდან უნძოდ გადის,
და უზინარდება შენს ხახვიან სათავეში.

დილით ვერც კი ვარკვევ, ცხადი გადაშნდა თუ სიზმარი,
მოფიქრე შენთან და გიყვები, რომ ჩემი ამბავი
შენს ნაპირებთან მდგარ ჩემს სახლებთან ჩაატარო,
სანამ დედაჩემის საფლავთან ცოტა ხნით შეყოვნდები,
და ოთხ სტადიანზე ენაზე გადასცემ დანაბარება.

*


ჩემი უკანა ეზოს ბოლოს, მეორე ქვეყანაში,
ჩნება შენი კალაპოტი, იმ მხარეს მესერიც კი არ მაქვს,
ანუ ცოცხალი მესრის ფუნქციას შენ ასრულებ.

მინცავს ნესვი და საზამთრო. ზამთრობით - სათბურში,
ზაფხულობით კი - ღია ცის ქვეშ, როგორც ხდება ხოლმე,
შემაძლია საათობით ვიჯდე და ეყურეო აივნიდან
მსხვილ-მსხვილი ნაყოფით მოფენილ ვრცელ მინდორს,
რონელიც, რატომღაც, შენს სათავესთან, პირველ ქვეყანაში,
ყოველ დილით გამქრალი შვილების საფლავებს მაგონებსა.

გაღმა სოფლელი ბავშვები ხშირად მოდიან საყიდლად,
სანამ სათვასში ხეავთან დგანან და არჩევენ,
მათი მეგობრები ეზოდან იპარავენ მნიფე ნაყოფს,
მიწაზე გაწოლილი მიაგორებენ თავით და ხელებით,
და ეზოს ბოლოს, ფლატედან, შენში ყრიან,
ცოტა ქვემოთ კი სხვა მეგობრები დგანან და იჭერენ,
როგორც დედაჩემი დაიჭირეს ხალიჩის შრეცხავმა ქალებმა.

მე კითხვარ არ ვიცი ეს ყველაფერი, ვითომ ვერ ვხედავ,
და ყიდვის მერე თითო ნესვს ან საზამთროს ვაჭუქი ხოლმე,
მათ კი უხარიათ, რომ აგერ მერამდენედ მომატყუეს.

როცა იშლებიან, და გაღმიდან მათი ყრიაშული აღარ ისმის,
გადავივლი მდინარეს და
დიდი ქადრის ძირას შევგუფებულ ღორებს ვაკვირდები,
რომ მისევინ ნარჩენებს, გახეთქილ ნესვებს და საზამთროებს,
რომლებსაც ველარ მოერევენ მაღლარი ბავშვები,
და გასართობად ქვები დაუშინეს.



*

მესამე ექვცანაში ერთი ტბორის დარაჯი ვარ,
შენგან ტბორში პატარა არხი ჩაედინება,
ანუ შენ ასაზრდოებ, დედამისიც და მამამისიც ხარ,
დაც და ძმაც ხარ, შენ რომ არა, ის უბრალოდ დამრებოდა,
და ამისთვის მადლიერია, ყოველთვის, როცა
მასში ვიყურები, ამას ვხედე, ვიცი, რომ შენც ხედე, ხედე
მასში მოშენებული კალმახებიც,
რომლებსაც უყვართ ის, როგორც მშობელი, შენც უყვარხარ,
როგორც მათი მშობლის მშობელი, რომელიც მზადაა,
შეილისთვის გაიღოს საკუთარი სხეულის ნანილი.

ზოგჯერ, ღამით, მოდიან თევზის მოსაპარად,
ნაპირს დაჰყვებიან ელექტრომოკური აპარატით,
და როცა ჩემი ჯიხურის ფანჯრიდან პაერში გაისვრი,
გაიქცევიან, მე კი ნაპირზე ვდგავარ და უყურებ,
მთვარის ბუქზე როგორ ბრწყინავენ მოტივტივე კალმახები,
თანდათან შოკიდან გამოდიან
და ტბორის სიღრმეში უჩინარდებიან.

როცა, ზამთარში, ტბორის ზედაპირი მთლიანად იყინება,
ერთ ადგილას ყინულს ეჭრი ბოლშე ბენზინის ხერხით,
და მშიერ კალმახებს ფუყრი დაღერდილ სიმინდს და მუხუდოს,
იმ ნუთას, მგონი, შენზე მეტადაც უყვარვარ.

ათასში ერთხელ ისე დიდდები, არხის სათავეს გაანგრე,
ტბორს გადაავსებ, გადაიღვრება ნაპირიდან,
და წაღეკავს ზეთისხილის და ფორთოხლის ბალებს.
მეორე დღეს კი ამოგვყავს გუბურებში ჩარჩენილი კალმახები.

*


მინის ქვეშ ცეცხოვრობ, შენს ნაპირას, მეოთხე ქვეყანაში,
ჩემი მინურის პირდაპირაა პატარა, თიხნარი ციცაბო,
რომელზეც მენაპირე მერცხლების სოროები ისე ჩანან,
რომ მთელი ფლატე კლდეში ნაკვეთი ქალაქი გეგონება.

ზამთრობით ეუვლი ამ სოროებს, ხოლო გაზაფხულზე,
როცა მერცხლები მოფრინდებიან, მერცხლებს ეუვლი,
უფრო სწორედ, ვდარაჯობ და ვიცივ გველებისგან,
სოროებში რომ მიძვრებიან და უმწეო ბარტყებს ქაშენ.

მერცხლებს დავარქვი სახელები, და ეს სახელები,
პატარა ფირფიტებზე ნანერილი, ფეხებზე გამოვაბი,
ვიცი, რომ ისინი არასოდეს არ მიმატოვებენ.

ნავლენ, მაგრამ ყოველ წელიწადს ათეულობით
ათას კილომეტრს გადმოლაზავენ ჩემთან შესახვედრად,
საპარის ქვიშის თითო მარცვალს სახსოვრად მომიტანენ,
იმ მარცვლებს, როგორც მარგალიტებს, საგულდაგულოდ ვინახებ...

თოვს. სოროები ცარიელია. შენი ხმაც ძლივს ისმის.
ჩაივლიან მეჩეთისკენ მიმავალი კაცები,
მწარე სიტყვებს გადმომიგდებენ, მერე, ცოტა ხნით,
შეყოვნდებიან იმის იმედად, რომ რამეს ვუპასუხებ.
ჩემს დუშილზე ხელს ჩაიქნევენ, გზას გააგრძელებენ,
მე კი გაავარძელებ ხელისზურგით ფიფქების დაჭერას,
თითქოს ისინი ფირფიტებია, რომლებზეც მერცხლების,
ჩემი მერცხლების სახელებს ვკითხულობ.



*

ათხსნადსაბჭო კვეცანაში შედინებო,
და ოთხივეგან სხვადასხვა სახელს გეძახიან,
შენი ნამდვილი სახელი კი არავინ არ იცის,
ასევე, როგორც - ჩემი ნამდვილი სახელი.

ტიდას გაჭრილი თითი

ლოვინთან, სკამზე, მიდევს შენი ცალი ხელთათმანი,
რონელშიც გინწყია დასათვლელი ფერადი ჩხირები,
როგორც კაპარჭში - ისრები. დაწლია წინ
და ჯოველ დილით ვკოცნი ხოლმე, უკვე ჩვევად შექცა
ეს რიტუალი. ხელთათმანის შუათითი წვერთან გარღვეულია,
და იგიდან რამდენიმე ჩხირის თავი ჩანს.

სულ მინდოდა გამეკერა, თითქოს გული მიგრძნობდა,
მაგრამ ყოველთვის ვეძებდი სახვლიოვად,
კუშინინ კი, თამაშის დროს, შუათითი მართლა გაიჭერი,
შენი ამდენი სისხლი იქამდე არასდროს მენახა,
და რატომღაც ერთი ფოტო გამახსენდა, რომელზეც
შუახის სირიელ კაცს დაბობზისას დაღუპული პატარა შვილები
წერდნენ ზეჰყავს მიკრული,
და უსაშინლესად მშვიდი თვალებით სადღაც იყურება...

ღამინერბულ იატაკზე და ნოჟარაზე,
ფეხსონ პოლოკის ფუნჯიდან დანუწული საღებავივით,
მამოხეულ სისხლის წვეთებში ყველა იმ ბავშვის სახე დავინახე,
